პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 280 (20821) ოთხშაბათი, 7 დეკემბერი, 1988 წელი. ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ს. გორბაჩოვი ნიუ-იორკს გაემგზავრა

6 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი მოსკოვიდან ნიუ-იორკს გაემგზავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 43-ე სესიაში მონაწილეობისათვის. შემდეგ იგი ოფიციალური ვიზიტად ჩავა კუბასა და დიდ ბრიტანეთში ამ ქვეყნების ხელმძღვანელობის მიწვევით.

მ. ს. გორბაჩოვს ახლავან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. კამენცევი.

აეროდრომზე მ. ს. გორბაჩოვი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ვ. ი. ვოროტნიკოვმა, ლ. ნ. ზაიკოვმა, ი. კ. ლიგაჩოვმა, ვ. პ. ნიკონოვმა, ნ. ი. რიჟკოვმა, ნ. ნ. სლიუნკოვმა, ვ. მ. ჩებრიკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა ა. პ. ბირიუკოვამ, ა. ვ. ვლასოვმა, დ. ტ. იაზოვმა, ა. ი. ლუკიანოვმა, გ. პ. რაზუმოვსკიმ, ნ. ვ. ტალიზინმა და სხვა ამხანაგებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ კუბის ელჩი სსრ კავშირში ხ. კამაჩო, დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში რ. ბრეითვეიტი, ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში რ. სმიტი.

(საქპრესი).

აეროდრომზე გაცილების დროს. საქპრეს-საქინფორმის ტელეფოტო.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

მოსკოვში, კავშირების სახლში 6 დეკემბერს გაიმართა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნები მოეწყობა ... სამართლებრივ საფუძველზე, ... ერთ-ერთი პირველი პრაქტიკული წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენი პოლიტიკური სისტემის ყოვლისმომცველი რეფორმის რეალიზაციის გზაზე.

სხდომაზე გამოსვლისას ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვ. პ. ორლოვი შეეხო კომისიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ამოცანებს, რომლებიც მან უნდა გადაწყვიტოს, „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ" სსრ კავშირის კანონის მიღებასთან დაკავშირებულ წინასაარჩევნო ღონისძიებათა მომზადებისა და განხორციელების თავისებურებებს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყველა ეს ღონისძიება უნდა განხორციელდეს დემოკრატიულ საფუძველზე, ღიად და საჯაროდ, ჩვენი ქვეყნის მრავალეროვნული ხასიათის, მშრომელთა მოთხოვნილებებისა და ინტერესების მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შექმნა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ტერიტორიული და ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქები. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებანი და ამ ოლქების სიები იბეჭდება პრესაში.

დამტკიცდა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებისა და მოწყობის ძირითად ღონისძიებათა კალენდარული გეგმა, აგრეთვე ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობის 1988 წლის დეკემბრის გეგმა.

მიღებულია გადაწყვეტილება მასობრივი ტირაჟით გამოიცეს სსრ კავშირის კონსტიტუციისა და „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ" სსრ კავშირის კანონის ტექსტები.

განიხილეს არჩევნების მომზადებასთან დაკავშირებული მთელი რიგი სხვა საკითხები.

კომისიის სხდომაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. ლუკიანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ი. ნ. ხრისტორადნოვი.

(საქპრესი).

• • •

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მისამართია: მოსკოვი, 103009, პუშკინის ქუჩა № 1, კავშირების სახლი.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ტერიტორიული საარჩევნო ოლქების შექმნა

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ" სსრ კავშირის კანონის მე-15 და მე-16 მუხლების შესაბამისად დაადგინა შეიქმნას სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ტერიტორიული საარჩევნო ოლქები:

საქართველოს სსრ

654. თბილისის — ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. თბილისი, ლენინის რაისაბჭო).
ქალაქ თბილისის გლდანისა და ლენინის რაიონები.

655. თბილისის — პირველი მაისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. თბილისი, პირველი მაისის რაისაბჭო).
ქალაქ თბილისის კალინინის, ოქტომბრისა და პირველი მაისის რაიონები.

656. თბილისის — 26 კომისრის სახელობის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაისაბჭო).
ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობისა და საქარხნო რაიონები.

657. თბილისის — ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. თბილისი, ორჯონიკიძის რაისაბჭო).
ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონი დაბა წყნეთთან ერთად, საბურთალოს რაიონი და დუშეთის, ყაზბეგისა და თიანეთის რაიონები.

658. თბილისის — კიროვის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. თბილისი, კიროვის რაისაბჭო).
ქალაქ თბილისის კიროვის რაიონი, ქალაქი მარნეული და ბოლნისის, დმანისის, მარნეულის, თეთრი წყაროსა და წალკის რაიონები.

659. ბათუმის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ბათუმი). აჭარის ასსრ.

660. ბორჯომის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ბორჯომი).
ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ქარელისა და ხაშურის რაიონები.

661. გორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. გორი).
ქალაქები გორი, ცხინვალი და გორის, ჯავის, ზნაურის, კასპის, ლენინგორის, მცხეთისა და ცხინვალის რაიონები.

662. გურჯაანის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. გურჯაანი).
ახმეტის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღის, თელავისა და წითელწყაროს რაიონები.

663. ზესტაფონის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ზესტაფონი).
ქალაქი ჭიათურა საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებულ დასახლებულ პუნქტებთან ერთად და ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის, საჩხერისა და თერჯოლის რაიონები.

664. ზუგდიდის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ზუგდიდი).
ქალაქი ზუგდიდი და გალის, ზუგდიდის, მესტიის, ოჩამჩირისა და წალენჯიხის რაიონები.

665. ქუთაისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ქუთაისი).
ქალაქი ქუთაისი და ტყიბული საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებულ დასახლებულ პუნქტებთან ერთად და ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის რაიონები.

666. ფოთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ფოთი).
ქალაქი ფოთი და ლანჩხუთის, მახარაძის, ხობის, ცხაკაიას, ჩოხატაურისა და ჩხოროწყუს რაიონები.

667. რუსთავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. რუსთავი).
ქალაქი რუსთავი და გარდაბნისა და საგარეჯოს რაიონები.

668. სამტრედიის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. სამტრედია).
ქალაქი წყალტუბო საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებულ დასახლებულ პუნქტებთან ერთად და აბაშის, ვანის, გეგეჭკორის, სამტრედიისა და წულუკიძის რაიონები.

669. სოხუმის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. სოხუმი).
ქალაქები: გაგრა საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებულ დასახლებულ პუნქტებთან ერთად, სოხუმი, ტყვარჩელი და გუდაუთის, გულრიფშისა და სოხუმის რაიონები.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქების შექმნა

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ" სსრ კავშირის კანონის მე-15 და მე-17 მუხლების შესაბამისად დაადგინა შეიქმნას სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქები:

საქართველოს სსრ

161. თბილისის — ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. თბილისი, ლენინის რაისაბჭო).
ქალაქ თბილისის ლენინის რაიონი.

162. თბილისის — გლდანის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. თბილისი, გლდანის რაისაბჭო).
ქალაქ თბილისის გლდანის რაიონი.

163. თბილისის — ოქტომბრის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. თბილისი, ოქტომბრის რაისაბჭო).
ქალაქ თბილისის კალინინისა და ოქტომბრის რაიონები.

164. თბილისის — 26 კომისრის სახელობის საარჩევნო ოლქი (ცენტრი ქ. თბილისი, 26 კომისრის სახელობის რაისაბჭო).
ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონი.

165. თბილისის — საქარხნო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. თბილისი, საქარხნო რაისაბჭო).
ქალაქ თბილისის კიროვისა და საქარხნო რაიონები.

166. თბილისის — ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი (ცენტრი— ქ. თბილისი, ორჯონიკიძის რაისაბჭო).
ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონი დაბა წყნეთთან ერთად და დუშეთისა და ყაზბეგის რაიონები.

167. თბილისის — საბურთალოს საარჩევნო ოლქი (ცენტრი— ქ. თბილისი, საბურთალოს რაისაბჭო).
ქალაქ თბილისის პირველი მაისისა და საბურთალოს რაიონები.

168. ახალქალაქის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ახალქალაქი).
ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონები.

169. ახალციხის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ახალციხე).
ადიგენის, ახალციხის, ბორჯომისა და ხაშურის რაიონები.

170. ბათუმის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ბათუმი).
ქალაქი ბათუმი და ხელვაჩაურის რაიონი.

171. ბოლნისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ბოლნისი).
ქალაქი მარნეული და ბოლნისისა და მარნეულის რაიონები.

172. გეგეჭკორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. გეგეჭკორი).
აბაშის, გეგეჭკორისა და ჩხოროწყუს რაიონები.

173. გორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. გორი).
ქალაქი გორი, გორისა და ქარელის რაიონები.

174. გურჯაანის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. გურჯაანი).
გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონები.

175. ზესტაფონის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ზესტაფონი). ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონები.

176. ზუგდიდის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ზუგდიდი).
ქალაქი ზუგდიდი და ზუგდიდის, მესტიისა და წალენჯიხის რაიონები.

177. ქობულეთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ქობულეთი).
ქედის, ქობულეთის, ხულოსა და შუახევის რაიონები.

178. ქუთაისის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ქუთაისი). ქალაქი ქუთაისი.

179. მახარაძის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. მახარაძე). ლანჩხუთის, მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონები.

180. მცხეთის საარჩევნო ოლქი. (ცენტრი — ქ. მცხეთა). კასპის, მცხეთისა და თიანეთის რაიონები.

181. ოჩამჩირის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ოჩამჩირე). ქალაქი ტყვარჩელი, გალისა და ოჩამჩირის რაიონები.

182. რუსთავის საარჩევნო ოლქი. (ცენტრი — ქ. რუსთავი).
ქალაქი რუსთავი და გარდაბნის რაიონი.

183. სამტრედიის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. სამტრედია).
ვანის, მაიაკოვსკის, სამტრედიისა და წულუკიძის რაიონები.

184. სიღნაღის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. სიღნაღი). ლაგოდეხის, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონები.

185. სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. სოხუმი). ქალაქი სოხუმი და გულრიფშის რაიონი.

186. სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. სოხუმი). ქალაქი გაგრა საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებულ დასახლებულ პუნქტებთან ერთად, გუდაუთისა და სოხუმის რაიონები.

187. თელავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. თელავი). ახმეტის, ყვარლისა და თელავის რაიონები.

188. თეთრი წყაროს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. თეთრი წყარო). დმანისის, თეთრი წყაროსა და წალკის რაიონები.

189. ცხაკაიას საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ცხაკაია). ქალაქი ფოთი, ხობისა და ცხაკაიას რაიონები.

190. წყალტუბოს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. წყალტუბო).
ქალაქები ტყიბული, წყალტუბო საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებულ დასახლებულ პუნქტებთან ერთად და ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის რაიონები.

191. ცხინვალის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ცხინვალი).
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

192. ჭიათურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ჭიათურა).
ქალაქი ჭიათურა საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებულ დასახლებულ პუნქტებთან ერთად, ორჯონიკიძისა და საჩხერის რაიონები.

აფხაზეთის ასსრ

481. სოხუმის — ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. სოხუმი).
ქალაქ სოხუმის აღმოსავლეთი ნაწილი ორჯონიკიძის, ჭოჭუას და ყაზბეგის ქუჩებიდან.

482. სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. სოხუმი).
ქალაქ სოხუმის დასავლეთი ნაწილი ორჯონიკიძის, ჭოჭუას და ყაზბეგის ქუჩებამდე.

483. სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. სოხუმი).
სოხუმის რაიონი.

484. გაგრის საარჩევნო ოლქი (ცენტრი ქ. გაგრა).
ქალაქი გაგრა საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებულ დასახლებულ პუნქტებთან ერთად.

485. გალის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. გალი).
გალის რაიონი

486. გუდაუთის საქალაქო ოლქი (ცენტრი — ქ. გუდაუთა).
გუდაუთის რაიონის ნაწილი: ქალაქი გუდაუთა, დაბა ახალი ათონი და აბღარხუქის, აჰცის, ანუხვის, აჭანდარის, ყულანურხვის, მწარის, პრიმორსკოეს და ფსირცხის სასოფლო საბჭოები.

487. გუდაუთის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. გუდაუთა).
გუდაუთის რაიონის ნაწილი, აგარაკის, ახალსოფლის, ბარმიშის, ბლაბურხვის, ჯირხვის, დურიფშის, ზვანდრიფშის, კალდახვარის, ლიხნის, მუგუძირხვის, ოთხარისა და ხოფის სასოფლო საბჭოები.

488. გულრიფშის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა გულრიფში).
გულრიფშის რაიონი.

489. ოჩამჩირის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ოჩამჩირე).
ოჩამჩირის რაიონის ნაწილი: ქალაქი ოჩამჩირე და აგუბედიის, არასაძიხის, ბესლახუბის, გუფის, ილორის, ოხურეის, ფოქვეშის, რეკისა და ტყვარჩელის სასოფლო საბჭოები.

490. ოჩამჩირის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ოჩამჩირე).
ოჩამჩირის რაიონის ნაწილი, აძიუბჟის, არადუს, არაკიჩის, ათარის, ათარა-არმიანსკაიას, ახალი კინდღის, ღვადის, ჯგერდის, კინდღის, კოჩარის, კუტოლის, ლაბრის, მოქვის, მერკულის, ოტაფის, ტამიშის, თხინისა და ჭლოუს სასოფლო საბჭოები.

491. ტყვარჩელის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ტყვარჩელი).
ქალაქი ტყვარჩელი.

აჭარის ასსრ

492. ბათუმის — ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ბათუმი).
ქალაქ ბათუმის ჩრდილოეთი ნაწილი — შაუმიანის, ჭავჭავაძის, წერეთლისა და მაიაკოვსკის ქუჩები.

493. ბათუმის — შაუმიანის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ბათუმი).
ქალაქ ბათუმის აღმოსავლეთი ნაწილი — ენგელსის, ჭავჭავაძის, წერეთლისა და მაიაკოვსკის ქუჩები.

494. ბათუმის — ლენინის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ბათუმი).
ქალაქ ბათუმის სამხრეთი ნაწილი — ენგელსის, ჭავჭავაძის, ტბელ-აბუსერიძის, ხიმშიაშვილის, ლეონიძის, მ. აბაშიძისა და სუვოროვის ქუჩები.

495. ბათუმის — ზღვისპირეთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ბათუმი).
ქალაქ ბათუმის დასავლეთი ნაწილი — შაუმიანის, ჭავჭავაძისა და ტბელ-აბუსერიძის ქუჩები.

496. ახალშენის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — სოფელი ახალშენი).
ხელვაჩაურის რაიონის ნაწილი: დაბა მახინჯაური და ახალშენის, ურეხისა და ჩაისუბნის სასოფლო საბჭოები.

497. ქედის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ქედა).
ქედის რაიონი.

498. ქობულეთის საარჩევნო ოლქი (ცენტრი. — ქ. ქობულეთი).
ქობულეთის რაიონის ნაწილი: ქალაქი ქობულეთი, დაბა ოჩხამური და ქაქუთის, ქობულეთის, ლეღვას, მუხაესტატესა და ჭახათის სასოფლო საბჭოები.

499. ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ხელვაჩაური).
ხელვაჩაურის რაიონის ნაწილი: დაბა ხელვაჩაური და აჭარისაღმართის, აჭარისწყლის, გონიოს, კახაბერის, კირნათის, სარფის, თხილნარისა და შარაბიძეების სასოფლო საბჭოები.

500. ხულოს საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ხულო).
ხულოს რაიონი.

501. ჩაქვის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ჩაქვი).
ქობულეთის რაიონის ნაწილი: დაბა ჩაქვი და ბობოყვათის, კვირიკეს, ულიანოვკის, ხალის, ხუცუბნისა და ციხისძირის სასოფლო საბჭოები.

502. შუახევის საარჩევნო ოლქი (ცენტრი დაბა შუახევი).
შუახევის რაიონი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

736. ცხინვალის საქალაქო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ცხინვალი).
ქალაქი ცხინვალი.

737. ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ქ. ცხინვალი).
ცხინვალის რაიონი.

738. ჯავის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ჯავა).
ჯავის რაიონი.

739. ზნაურის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ზნაური).
ზნაურის რაიონი.

740. ლენინგორის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — დაბა ლენინგორი).
ლენინგორის რაიონი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 5 დეკემბრის დადგენილება

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკასა და სომხეთის სს რესპუბლიკაში მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების უხეშად უხეში დარღვევების შესახებ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში მოდის აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა და სომხეთის სს რესპუბლიკის მშრომელთა მრავალი საჩივარი ეროვნული ნიშნით სამუშაოდან დათხოვნასთან დაკავშირებით, რომელსაც მასობრივი ხასიათი ეძლევა. არის უტყუარი მონაცემები იმის შესახებ, რომ სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელები არათუ საკადრის პასუხს არ სცემენ ამ დანაშაულებრივ თვითნებობას, ზემოქმედებასა და მუქარას სრულიად უდანაშაულო ადამიანთა მიმართ, არამედ ხშირად პირდაპირ აქეზებენ უკანონო მოქმედებას და უშუალოდ მონაწილეობენ კიდეც მასში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

მოეთხოვოს აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს ძირფესვიანად აღკვეთონ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების უაღრესად უხეში დარღვევები, განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება მომავალში მათი განმეორების თავიდან ასაცილებლად. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა, აგრეთვე პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებს, რომლებიც უშვებენ ეროვნული ნიშნით მოქალაქეთა სამუშაოდან უკანონო დათხოვნას, დაეკისროთ პერსონალური პასუხისმგებლობა, გაირიცხონ კიდეც პარტიიდან, მოიხსნან პოსტებიდან, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ნაციონალისტური და კანონსაწინააღმდეგო ხასიათის ამგვარი გამოვლინებების აღკვეთისათვის მუშაობა განხორციელდეს ფართო საჯაროობის ვითარებაში. ბრალეულ პირთა მიმართ მიღებული ღონისძიებანი აცნობონ შრომითს კოლექტივებს, აგრეთვე გააცნონ საზოგადოებრიობას პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების მეშვეობით.

ამ დადგენილების შესრულება მოხსენდეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
მ. გორბაჩოვი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. რიჟკოვი.

შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

5 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა რესპუბლიკის მეცნიერი და შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, უმაღლესი სასწავლებლების, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, შემოქმედებითი კავშირების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელებთან. იგი მიეძღვნა მიმდინარე წლის ნოემბრის უკანასკნელი დეკადის იმ ცნობილი მოვლენების მიზეზებისა და შედეგების ანალიზს, რომლებიც მოხდა თბილისში. გაიმართა საფუძვლიანი სჯა-ბაასი და გულახდილი აზრთა გაზიარება მომხდარი ამბის, რესპუბლიკის დღევანდელი პრობლემებისა და შემდგომი განვითარების პერსპექტივების შესახებ.

შეხვედრას უძღვებოდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა.

შეხვედრაზე გამოვიდნენ პოეტი ი. ორჯონიკიძე, კინორეჟისორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. კოკოჩაშვილი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. ჯაველიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი თ. შავგულიძე, გამომცემლობა „მერანის" დირექტორი გ. გვერდწითელი, საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე თ. ბუაჩიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნ. ლომოური, მწერალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლ. სანიკიძე, მოქანდაკე, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გ. ოჩიაური, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. ამაღლობელი, კინორეჟისორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლ. ღოღობერიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი რ. მეტრეველი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გ. ყორანაშვილი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ჩოგოვაძე, მოქანდაკე, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ჯ. მიქატაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გ. ნიშნიანიძე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორი, პოეტი ჯ. ჩარკვიანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვ. კოტეტიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. მუსხელიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ქ. გაბაშვილი, ჟურნალ „მნათობის" მთავარი რედაქტორი ა. სულაკაური, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი ა. სილაგაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ს. ცაიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ვ. ადვაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ქ. წერეთელი, მოქანდაკე, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. ბერძენიშვილი, საქართველოს სსრ თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გ. ლორთქიფანიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ჟურნალ „დილას" მთავარი რედაქტორი ე. ნიჟარაძე, საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ე. შენგელაია, დრამატურგი, მწერალი შ. შამანაძე, მწერალი, პუბლიცისტი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ა. ბაქრაძე, პოეტი ტ. ჭანტურია, კომპოზიტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი გ. ყანჩელი.

როგორც ორატორებმა აღნიშნეს, ყოველივე იმან, რაც მთავრობის სახლთან ხდებოდა და მისმა თანმდევმა გარემოებებმა დაძაბული ვითარება გამოიწვია არა მარტო დედაქალაქში, არამედ მთელ რესპუბლიკაშიც. ამ მოვლენათა გამოძახილი კვლავ ვლინდება. კერძოდ, ასე იყო 3 დეკემბერს ქუთაისში გამართული მიტინგის დროს, რომელზეც წამოაყენეს მიუღებელი ლოზუნგები და მოთხოვნები, დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი. ყოველივე ეს პრესამ და ტელევიზიამ დაწვრილებით გააცნეს რესპუბლიკის საზოგადოებრიობას. ასეთმა მოქმედებამ, არსებითად, აშკარად რომ ეწინააღმდეგება ჩვენს კონსტიტუციას, არ შეიძლება არ გამოიწვიოს საყოველთაო აღშფოთება და გმობა, არაერთგზის ითქვა შეხვედრის დროს.

ამავე დროს შეხვედრის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს დღევანდელ ეტაპზე ახალგაზრდობის როლსა და ადგილს. აღინიშნა ახალგაზრდა თაობის მკვეთრად გაზრდილი სოციალური და პოლიტიკური აქტიურობა, რაც თვალნათლივ ვლინდება მისწრაფებით გადაწყვიტოს რესპუბლიკის ცხოვრების ბევრ დარგში დაგროვილი და წამოჭრილი პრობლემები, მშობლიური ენის განვითარების, ეკოლოგიის, ძეგლთა დაცვის საკითხები იქნება ეს. ქალიშვილებისა და ჭაბუკების ენერგია და კეთილშობილური შემართება რეალურად უნდა ემსახურებოდეს რესპუბლიკის ინტერესებს. ამიტომ, თქვეს ორატორებმა, უფრო ახლოს უნდა ვიყოთ ახალგაზრდობასთან.

(დასასრული მე-2 გვ.)

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

6 დეკემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

გ. გ. გუმბარიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნასთან დაკავშირებით პლენუმმა იგი გაათავისუფლა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია **ზ. დ. მახარაშვილი**, რომელიც მუშაობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ჯ. ი. პატიაშვილი.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების გამგე შ. ა. ჩხეიძე.

(საქინფორმი).

შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

გარდაქმნამ წარმოაჩინა მრავალი ფესვგადგმული პრობლემა, რომლებზეც წინათ მიღებული არ იყო ლაპარაკი, ისევე როგორც ახლებზე. უფრო ენერგიულად უნდა ვიმოქმედოთ მათი აღმოფხვრისა და დაძლევისათვის, გადავწყვიტოთ ისინი რესპუბლიკის საარსებო ინტერესებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიანობით, ვეცადოთ რაც შეიძლება ოპერატიულად დავაცხროთ წარმოშობილი დაძაბულობა, უფრო გაბედულად მოვიშოროთ თავიდან მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სტილის შედეგები, სათუთად, ფრთხილად მოვეკიდოთ დემოკრატიასა და მის რეალურ ხორცშესხმას. უნდა გვახსოვდეს, რომ ნეგატიური მოვლენები ყოველთვის უკმაყოფილების საბაბს იძლევა.

ამავე დროს ცხადია, რომ გარდაქმნას ჰყავს მოწინააღმდეგენი, არიან განახლების პროცესის დამამუხრუჭებელი ძალები. წესრიგი, სახალხო ხელისუფლება ნამდვილად ხელს არ აძლევს კორუფცირებულ ელემენტებს, ჩრდილოვანი ეკონომიკის სხვადასხვა ჯურის საქმოსნებს.

23-29 ნოემბრის მოვლენების, სხვა მიმდინარე პროცესების ანალიზი მოწმობს, რომ, სარგებლობენ რა დემოკრატიით, მათი ორგანიზატორები აშკარად უგულებელყოფენ საბჭოთა კანონებს, განზრახ აზვიადებენ სიძნელეებსა და პრობლემებს, ამწვავებენ ემოციებს, ცდილობენ თავიანთი მოქმედებით განხეთქილება შეიტანონ საზოგადოებაში.

აი რატომ არის, რომ დღეს განსაკუთრებით აქტუალურად დგას საკითხი, რომ მოვახდინოთ მთელი მოწინავე, გარდამქმნელი ძალების კონსოლიდაცია, აღინიშნა შეხვედრის დროს. ამასთან ფართოდ მოვიზიდოთ, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობა, ახალგაზრდული გაერთიანებანი და ფორმირებანი. რესპუბლიკის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს კარგი მომავალი ელით, მრავალი სასახელო საქმე ელით. თითოეული უფროსი ამხანაგის ვალია დაეხმაროს მათ დაინახონ ყოველივე ის ნათელი, რაც მოაქვს გარდაქმნას, პიროვნების განვითარების ყველა ის შესაძლებლობანი, რომლებსაც სახავს დემოკრატიზაციის შეუქცევადი პროცესი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ნ. ფოფხაძე და ჯ. მარგველიძე. (საქინფორმი).

ალიმართება დიდგორის მემორიალი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს დიდგორის ველზე დავით აღმაშენებლის ლაშქრის მიერ უცხოელ დამპყრობლებზე მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავი მემორიალის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები. თათბირზე მოწვეული იყვნენ მემორიალის პროექტის ავტორები მერაბ ბერძენიშვილი და თამაზ გუნია, მშენებლები, არქიტექტორები, რესპუბლიკური უწყებებისა და სამინისტროების ხელმძღვანელები.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა აქვს დიდგორის ომში ქართველთა ისტორიული გამარჯვების უკვდავსაყოფად გამიზნულ მემორიალს. შესაბამის ორგანიზაციებს მიეცათ დავალება უზრუნველყონ დიდგორის მემორიალის მშენებლობის ძირითადი ნაწილის დასრულება 1989 წლის შემოდგომისათვის. დასახულ ღონისძიებათა შესრულებას დაუწესდა მკაცრი კონტროლი.

თათბირზე განიხილეს აგრეთვე თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, დავით აღმაშენებლის ძეგლის დადგმის საკითხი.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის [illegible] (საქინფორმი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 1988 წლის 5 დეკემბერს [illegible]

[illegible]

ბის თხოვნა დახმარება გაუწიონ ბავშვების დაბინავებასა და სწავლებაში იმ ოჯახებს, რომლებიც იძულებული არიან დატოვონ მუდმივი ბინადრობის ადგილები.

ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს თა- [illegible] ტორიული ტიპის პიონერთა ბანაკებში 20 ათასამდე ადგილი სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვთა დროებითი დაბინავებისათვის (საჭიროების შემთხვევაში მშობლებთან ერთად), საკავშირო ალკკ პიონერთა ბანაკებში — 4 [illegible] ნათლების სახელმწიფო კომიტეტმა, აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ სახალხო განათლების სამინისტროებმა მოაწყონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ბავშვთა დროებითი დაბინავების ადგილებში. ამ მიზნით ჩამოაყა- [illegible] ციონ მომსახურება მათი დროებითი ყოფნის ადგილებში. ცნობად იყოს მიღებული, რომ ამ მიზნებისათვის დამატებით ხარჯებს კისრულობს ვ. ი. ლენინის სახელობის საბჭოთა საბავშვო ფონდი.

დავძლიოთ ცრურწმენები და ემოციები

დრამატულ მოვლენებს აზერბაიჯანსა და სომხეთში მოჰყვა ამ რესპუბლიკების ათასობით ადამიანის მძიმე განსაცდელი.

ესწრაფვის რა აღკვეთოს კრიზისის განვითარება და შეამსუბუქოს ჩამოსახლებულთა მდგომარეობა, გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის საბჭოთა ფონდი მიმართავს აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების საუკუნოვან სიბრძნეს, ამიერკავკასიის უძველეს მიწა-წყალზე კეთილი ნების ყველა ადამიანს მოუწოდებს დაძლიონ ცრურწმენები და ემოციები, გამოავლინონ გულმოწყალება, ჩამოართვან ერთმანეთს ხელი შერიგებისა და კეთილმეზობლობის ნიშნად, მიმართონ ახალ ძალისხმევას ეროვნულ ნიადაგზე ძმათამკვლელი ომის შესაწყვეტად;

მოუწოდებს აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის საბჭოთა ფონდის აქტივისტებს ჩააბან საზოგადოებრიობის მთელი ძალები და საჭირო გადაუდებელი დახმარება გაუწიონ ჩამოსახლებულებს ბინით, ტანსაცმლით, სურსათით, სამუშაოთი უზრუნველყოფაში.

მოუწოდებს ყველა გულკეთილ და ვულისხმიერ ადამიანს ხელი შეუწყონ გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის საბჭოთა ფონდის სახსრების შეგროვებაში, რათა დახმარება გაუწიონ აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკებში ჩამოსახლებულებს (ანგარიში 704201 სსრ კავშირის საბინაო-სოციალურ ბანკში).

(საქდესი).

პარტიული კომიტეტების პლენუმები

[illegible]

სახალხო მეურნეობა: განვითარების პერსპექტივაში 2005 წლამდე

საყოველთაო განხილვისათვის გამოტანილ „2005 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სსრ საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სქემის ძირითად დებულებებში" გათვალისწინებულია გადაიჭრას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საიმედო ელექტროენერგეტიკული ბაზის შექმნის უმნიშვნელოვანესი პრობლემა.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეცადეთ მკითხველს გავუზიაროთ ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს ენერგეტიკის განვითარების გადაუდებელი ამოცანების შესახებ.

საქართველოს სსრ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის თანამედროვე მდგომარეობა ხასიათდება სხვადასხვა სახის სათბობისა და ელექტროენერგიის მოხმარების განუხრელი ზრდით. ამასთან სათბობის ადგილობრივი წარმოება (მოპოვება) რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნათა მხოლოდ 20 პროცენტს ფარავს. საჭირო სათბობის უმეტესი ნაწილი კი შემოგვაქვს საბჭოთა კავშირის საკმაოდ მოშორებული რაიონებიდან. ეს იწვევს როგორც ამჟამად მოხმარებულ, ასევე პერსპექტივაში საჭირო სათბობი რესურსების მნიშვნელოვან გაძვირებას და კიდევ უფრო რელიეფურად წარმოაჩენს ელექტროენერგეტიკის როლს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

ელექტრიფიკაციის დიდი მნიშვნელობა საყოველთაოდაა ცნობილი. იგი იძლევა წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, აგროსამრეწველო კომპლექსის შემდგომი განვითარების საშუალებას, ამაღლებს შრომის მწარმოებლობას და პროდუქციის ხარისხს. დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს ელექტრიფიკაციას, აგრეთვე, საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო [illegible] სტრუქტურა და სტაბილური გახდება მისი მუშაობა ზამთრის პერიოდში.

ჰიდროელექტროსადგურებსაც ახასიათებს ზოგიერთი ნაკლი (მიწის სავარგულების წყლით დაფარვა, წყალსაცავში მყარი ნატანის აკუმულირება ცნობილი უარყოფითი შედეგებით), მაგრამ აქვს ის დიდი უპირატესობა, რომ იყენებს წყლის მუდმივ-განახლებად ენერგიას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მოწინავე კაპიტალისტურმა ქვეყნებმა თითქმის მთლიანად ამოწურეს წყლის პოტენციალური რესურსები, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირში ათვისებულია მათი მხოლოდ 20 პროცენტი, ხოლო ჩვენს რესპუბლიკაში კიდევ უფრო ნაკლები — 12 პროცენტამდე.

ამრიგად, ელექტროენერგიის არსებული დეფიციტის დასაფარავად და მასზე მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ჩვენს რესპუბლიკაში თბოსადგურების მშენებლობას პარალელურად საჭიროა ჰიდროელექტროსადგურების ინტენსიური მშენებლობა. აქ მხედველობაში გვაქვს როგორც მძლავრი, ისე მცირე ჰესების აგება. ცხადია, რომ რაც უფრო მა- [illegible]

საბჭოთა კავშირში უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა მცირე ჰესების ხაზით. ამჟამად არსებობს ენერგოეკონომიკური წანამძღვრები მცირე ჰიდროენერგეტიკის განვითარებისათვის საჭირო სამუშაოების გაშლის მიზანშეწონილობის შესასწავლად. ეს გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილებით და განპირობებულია ჰიდროენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი ნაწილის მაქსიმალურად ათვისების აუცილებლობით და მდინარეთა კომპლექსური გამოყენების საკითხის ფართოდ დაყენებით. უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე ჰესების [illegible]

[illegible]

მწვანე გზა მცირე ჰესებს

[illegible]

მევენახეობა ფრთებს შლის



[illegible]

რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს

ასახვა უნდა ჰპოვოს

სახალხო დეპუტატთა რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერმინოლოგიურ-დარგთაშორისო კომისიამ და რუსთაველის საზოგადოებამ თავის სხდომაზე განიხილეს „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა". ყოველმხრივ მოვიწონებთ და მხარს ვუჭერთ ამ დოკუმენტს. საზოგადოება ყოველთვის იღონებს მისი უცილობლად შესრულებისათვის, შესაძლებლობებისა და ფარგლებში.

ამასთან მივცემთ:

1. მე-3 საკითხის მე-8 პუნქტს — „სამეცნიერო-ტერმინოლოგიური ლექსიკონის მომზადება" — უნდა დაემატოს:

ა) სამშენებლო-სატრანსპორტო ტერმინების ლექსიკონი;

ბ) მანქანათმშენებლობისა და მანქანათა ნაწილების ტერმინების ლექსიკონი;

გ) ელექტრო და ელექტროტექნიკური ტერმინების ლექსიკონი;"

2. მე-3 საკითხის მე-6 პუნქტის შესრულების ვადა — 1992-93 წლები, ვფიქრობთ, გადასახედია: იგი უფრო მოკლე დროში უნდა შესრულდეს.

3. მხარს ვუჭერთ საქართველოს ტელევიზიით გამოთქმულ წინადადებას, უნივერსიტეტში განახლდეს შუმერული, ურარტული და პროტოხეთური ენების შესწავლა.

სასურველია, ამ წინადადებამ ასახვა ჰპოვოს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამაში ცალკე პუნქტად.

რუსთაველის საზოგადოების სახელით
მამია მახარაძე, თენგიზ ჭიაბრიშვილი და სხვები.

მიუტევებლად ჩაითვალოს

„ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის" პროექტი დიდ მოწონებას იმსახურებს. ერთ შენიშვნას მაინც შევთავაზებდი მის ავტორებს.

არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში ისე უდიერად არ ეპყრობიან ტოპონიმებს, როგორც ჩვენთან. ამის თაობაზე საკმაოდ იწერება ჟურნალ-გაზეთებში.

ამიტომ ფრიად მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ პროგრამაში თავისი ადგილი ჰპოვოს შემდეგმა ტექსტმა.

„აღინიშნოს ქართული ტოპონიმების უდიდესი მნიშვნელობა როგორც ქართული ენის, ისე საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლისათვის.

სრულიად მიუტევებლად ჩაითვალოს რაიმე დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის გაუთვალისწინებლად ძირეული ქართული ტოპონიმის შეცვლა".

ვახტანგ კუპრავა.

გვჭირდება ქართულენოვანი სასწავლო ფილმები

„ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის" პროექტის IV თავში — „ტელევიზია და კინემატოგრაფია", მართალია, აღნიშნულია რუსული ფილმების ქართულ ენაზე გახმოვანება და ქართულენოვანი სუბტიტრების შექმნა, მაგრამ არ არის აღნიშნული სკოლებისათვის სასწავლო ფილმებისა და ფრაგმენტების ქართულ ენაზე გახმოვანება და რუსულ და უცხოენოვან ფილმებზე სუბტიტრების გაკეთება, რაც ქართულ სკოლებს ძლიერ სჭირდებათ.

მაგალითად, ლენინგორის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების ფილმოთეკაში არის 1200 დასახელების 2000-ზე მეტი სასწავლო ფილმი და ფრაგმენტი, მაგრამ ფილმფონდში მხოლოდ ორია ქართულენოვანი ფილმი, ალბათ, ასეთივე მდგომარეობაა სხვა რაიონებშიც.

რადგან ქართულენოვანი სასწავლო ფილმები არა გვაქვს, ქართული სკოლების მასწავლებლები ქართულ გაკვეთილებზე იყენებენ რუსულ სასწავლო ფილმებს.

კარგი იქნება „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამით" გათვალისწინებული იქნას, რომ სკოლებისათვის დამზადდეს ქართულენოვანი სასწავლო ფილმები, ხოლო რუსულ და უცხო ენაზე გახმოვანებულ სასწავლო ფილმებს გაუკეთდეს ქართული სუბტიტრები.

ასევე საჭიროა დამზადდეს ქართულენოვანი სუბტიტრებული დიაფილმები.

ილია მაჭიაშვილი,
ლენინგორის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების ფილმოთეკის გამგე.

ს ა ს უ რ ვ ე ლ ი ა

„ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის" პროექტი ითვალისწინებს ხევსურული, ფშავური, ინგილოური, გურული დიალექტოლოგიური ლექსიკონების შედგენა-გამოცემას. ამასთანავე, ვფიქრობ, საჭიროა სვანური და მეგრული ენების ლექსიკონების მომზადება.

მამანტი კვირტია,
ჩხოროწყუ.

● ფაქტი ● მოვლენა ● კომენტარი

საკავშირო დროშა — მეაზოტეებს

რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის" კოლექტივმა მესამე კვარტალში გეგმის ზევით გამოუშვა 650 ათასი მანეთის პროდუქცია, მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულება შეასრულა 100 პროცენტით, 4 მილიონი მანეთის გადაჭარბებით შეასრულა ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვების დავალება.

ამ მაჩვენებლების მიხედვით გაერთიანებამ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიენიჭა სსრ კავშირის მინერალური სასუქების წარმოების სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. ამ სასიხარულო ცნობას მეორე მნიშვნელოვანი მოვლენაც დაემთხვა. თვალსაჩინო წარმატება გაერთიანების გენერალურ დირექტორს ზურაბ კერვალიშვილს და შრომით კოლექტივს მიულოცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ო. დ. ბაკლანოვმა. წარმატება კიდევ უფრო განამტკიცეს მეაზოტეებმა, მათ გადაჭარბებით შეასრულეს 10 თვის საწარმოო დავალებაც ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

▼▼

უჩვეულო მიბმა

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერი „ალექსანდრე კორნეიჩუკი" მაზუთით დატვირთული იტალიის ქალაქ აუგუსტისაკენ მიემართებოდა. იონიის ზღვაში გემმა მიიღო რადიოგრამა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ უცხოეთის ფირმას სხვა ტვირთის მიმღებისათვის მიუყიდია მაზუთი. ეკიპაჟის წინაშე დადგა რთული ამოცანა: შეხვედროდა ზღვაში სამხრეთ კორეის გემს და მის ტანკერში გადაეტვირთა 29 ათასი ტონა მაზუთი.

გემების მიბმის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით „ალექსანდრე კორნეიჩუკის" ბორტის გასწვრივ დაყენეს სამხრეთ კორეის ტანკერიდან მოტობოტით მოტანილი დიდი ბურთ-ბალონები. რთული მანევრის შესრულებისას გემებმა დაიწყეს ერთმანეთთან ნელ-ნელა მიახლოება. გემების მიბმა წარმატებით დამთავრდა და დაიწყო ტვირთის გადატუმბვა, რასაც ორ დღე-ღამეზე მეტი დასჭირდა.

— ასეთი ოპერაცია პირველად განხორციელდა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პრაქტიკაში,— განმარტა ეს ფაქტი სანაოსნოს უფროსმა ჯემალ ჭიღვარიამ. — სამუშაომ მოითხოვა „ალექსანდრე კორნეიჩუკის" ეკიპაჟის დიდი ოსტატობა, რომელსაც კაპიტანი ვ. იმნაიშვილი მეთაურობს.

▼▼

დროშა — თავგამოჩენილებს

სასიხარულო ცნობა მოვიდა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებულ ტრესტში. მიმდინარე წლის ცხრა თვის მუშაობის შედეგებით მისი კოლექტივი დაჯილდოვდა სსრ კავშირის სახმშენისა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარემ ი. პ. ბატალინმა და მშენებლობისა და სამშენ მასალათა მრეწველობის მუშების პროფკავშირის თავმჯდომარემ ა. მ. იაკოვლევმა მიულოცეს ქართველ მექანიზატორებს გამარჯვება და გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ისინი განაგრძობენ აქტიურ მუშაობას მეთორმეტე ხუთწლედის მესამე წლის საგეგმო დავალებათა წარმატებული შესრულებისათვის.

სულ წლის დამდეგიდან ტრესტის კოლექტივმა 15.989 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულა ნაცვლად 15.463 ათასი მანეთისა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეოთხე და მეექვსე სამმართველოთა კოლექტივებმა.

▼▼

მედიკოსთა ინიციატივა

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კონიაშვილის სახელობის ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივმა გადაწყვიტა სანახევროდ შეამციროს სამუშაო დრო მრავალშვილიან დედებს, რათა მათ შეძლონ უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ ბავშვების აღზრდას. ამასთან მათ მთლიანად შეუნარჩუნებენ ხელფასს. გარდა ამისა, ინსტიტუტის პერსონალმა გადაწყვიტა რუსთაველის საზოგადოების დემოგრაფიულ ფონდში გადარიცხოს 500 მანეთი.

თანამშრომელთა ამ ინიციატივებს მხარი დაუჭირეს ინსტიტუტის პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კრებაზე, რომელიც გაიმართა რუსთაველის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციისა და შრომითი კოლექტივის საბჭოს დაარსებასთან დაკავშირებით.

ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე

„მთელ რიგ რესპუბლიკებში დღეს ინტელიგენციის, სამოქალაქო მოძრაობების წარმომადგენლები, არაფორმალური ჯგუფები აქტიურად მსჯელობენ მოქალაქეობის საკითხებზე. ეს დისკუსიები უკვე გავიდა იმ კანონპროექტების შემუშავების დონეზე, რომელთა წაკითხვისას ყურადღებას იპყრობს რესპუბლიკური მოქალაქეობის მინიჭების სავალდებულო პირობების შემოღების შესახებ წინადადებათა მთელი სპექტრი. მათ შორის არის ენის უთუო ცოდნა, რესპუბლიკაში 5-10-20 წლის ბინადრობის ცენზი.

უეჭველია, ეს გამოიწვია ცალკეულ რეგიონებში ათწლეულობით დაგროვილმა მთელმა რიგმა რეალურმა, მტკივნეულმა პრობლემებმა. ეს პრობლემები მოითხოვს კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გადაწყვეტას. მაგრამ რამდენად ეხამება ამგვარი შემოთავაზებული კონცეფციები ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესს, შეესაბამება თუ არა ისინი მოქალაქეობის შესახებ საერთო-მსოფლიო ტენდენციებსა და ცნებებს? როგორ წყდება ეს პრობლემები სხვა ქვეყნებში, მათ შორის კაპიტალისტურ ქვეყნებშიც? ლ. პეტროვი".

ჩვენ შევთავაზეთ ეს წერილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოს და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერებს. არჩევანი შემთხვევითი არ არის. უკანასკნელი თვეების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში პოპულარული ხდება აშკარად უმეცრული სოციალურ-ეკონომიკური იდეები, რომელთა მომხრეები ზოგჯერ გაუთვითცნობიერებლად ურევენ ერთმანეთში ცნებებს, ცდილობენ შეიმუშაონ, მათი აზრით, უძრაობის ხუნდისაგან საზოგადოების გამჯანსაღების ყველაზე პოზიტიური პროგრამები. ამ თვალსაზრისით როგორ აფასებენ „მკაცრი მოქალაქეობის" იდეას სპეციალისტები, რომელთა ავტორიტეტი აღიარებულია მეცნიერთა სამყაროში.

სსრ კავშირი ჩვენი საერთო სახლია

მოქალაქეობის შესახებ

დემოკრატიულია თუ არა?

პრინციპულად მოქალაქეობის შესახებ რესპუბლიკური საკანონმდებლო აქტების მიღება სავსებით დასაბუთებული და საჭირო საქმეა. სსრ კავშირში, ისევე როგორც მსოფლიოს მეტ წილ ფედერაციულ სახელმწიფოებში, დაწესებულია ორმაგი მოქალაქეობა. მოქმედი კონსტიტუციის 33-ე მუხლის თანახმად, მოკავშირე რესპუბლიკის თითოეული მოქალაქე ამავე დროს სსრ კავშირის მოქალაქეა. რესპუბლიკური მოქალაქეობა საერთო-საკავშიროზე „ძველია" კი: სსრ კავშირის შექმნამდე ხომ მხოლოდ რესპუბლიკური იყო.

უნდა ითქვას, რომ მეტისმეტი ცენტრალიზმი, რომელიც წარსულში შეტანილი იყო სსრ კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის უფლებამოსილებათა განაწილებაში, შეეხო მოქალაქეობის საკითხებსაც. აქ აგრეთვე აღინიშნულია რესპუბლიკური კომპეტენციის შემცირება. შედარეთ თავად: 1931 წლის სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ დებულებით რესპუბლიკებს ეკუთვნოდათ უფლება გადაეწყვიტათ როგორც რესპუბლიკურ (და მაშასადამე, საკავშირო) მოქალაქეობაში მიღების, ისე მისგან გამოსვლის საკითხები. უფრო მეტიც, რესპუბლიკებს შეეძლოთ გადაეცათ ეს თავიანთი უფლებები ადგილებზე — ცალკეული რაიონული და საქალაქო საბჭოებისათვის. ახლა კი 1978 წლის კანონით სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ რესპუბლიკებს უნარჩუნდებათ მხოლოდ რესპუბლიკურ მოქალაქეობაში, და მაშასადამე, სსრ კავშირის მოქალაქეობაში უცხოელების და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიღება, რომლებსაც აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ერთი სიტყვით, მოქალაქეობის საკითხებზე მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება, მოქმედებული ნორმების დაზუსტება შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ. თავისი სტატუსით მოკავშირე რესპუბლიკებს შეუძლიათ თვითონ, თან საბოლოოდ, გადაწყვიტონ, მაგალითად, რესპუბლიკურ (და საკავშირო) მოქალაქეობაში მიღებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ეს, უდავოდ, ხელს შეუწყობს სსრ კავშირის ფარგლებში ურთიერთობის დემოკრატიზაციას, გააძლიერებს რესპუბლიკური სახელმწიფოებრიობის გარანტიებს.

სოციალისტური ფედერაციული სახელმწიფოს პირობებში რესპუბლიკური მოქალაქეობის არსებობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩნიოთ და გამოვიყენოთ მთელი საბჭოთა მრავალეროვანი საზოგადოების ერთიანობისა და შეკავშირების საწინააღმდეგოდ. სსრ კავშირში, ჩვენი კონსტიტუციის თანახმად, თითოეულ საბჭოთა ადამიანს ნებისმიერ ადგილას აქვს ძირითადი კანონით დამკვიდრებული ყველა უფლება და თავისუფლება.

რაიმე ნორმების დადგენა, რომლებიც ქმნის პრივილეგიებს ერთი რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის და ზღუდავს სხვა რესპუბლიკების მოქალაქის სტატუსს, — ეს ნიშნავს დავარღვიოთ საბჭოთა მოქალაქეების თანასწორუფლებიანობის პრინციპი.

მკვეთრ წინააღმდეგობას იწვევს წინადადებანი რესპუბლიკური მოქალაქეობის მოსაპოვებლად ცენზების შემოღების შესახებ. ეს ეწინააღმდეგება დემოკრატიზმისა და ინტერნაციონალიზმის პრინციპებს.

მაგალითად, ბინადრობის ცენზის დაწესება ნიშნავს თვითნებურად შევზღუდოთ მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილის პოლიტიკური უფლებები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით (განსაკუთრებით ახალ სამუშაო ადგილას გადასვლასთან დაკავშირებით) უწინ ჩვეულებრივი წესით იცვლიდნენ თავიანთ მოქალაქეობას. აქ კი მოქალაქეობის ქონება თუ უქონლობა უკავშირდება სხვა საკითხების გადაჭრას, მათ შორის რესპუბლიკის ფარგლებში საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებას. არის უფრო შორს გამიზნული ზრახვებიც, კერძოდ, შეიზღუდოს სამუშაოს და საცხოვრებლის მიცემა სხვა რეგიონებიდან ჩამოსულთათვის. ასეთივე დისკრიმინაციული ხასიათისაა წინადადება დავუკავშიროთ მოქალაქეობის მინიჭება მკვიდრი მოსახლეობის ენის ცოდნას, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფოებრივი სტატუსი.

თავისთავად ამ ენის ცოდნა, რა თქმა უნდა, უადვილებს ყოფაცხოვრებას ყველას, ვინც რესპუბლიკაში ცხოვრობს, საშუალებას აძლევს უფრო აქტიურად ჩაებან მუშაობაში, ისარგებლონ კულტურის საგანძურით, მაგრამ მრავალი მიზეზით — ასაკის, განათლების და, ასე განსაჯეთ, ინტერესების გამო — ადამიანთა ნაწილს, მათ შორის რესპუბლიკაში მცხოვრებთ, შეუძლია ხანგრძლივი დროის მანძილზე იოლად წავიდეს თავისი ეროვნული ენით.. განა შეიძლება ამ საფუძველზე წავართვათ მათ შესაძლებლობა იყვნენ რესპუბლიკის მოქალაქეები? მათ ხომ ყველა საფუძველი აქვთ ისარგებლონ იურისდიქციით და იქონიონ მისი დაცვის იმედი.

სრულიად შეუწყნარებელია ყოველგვარი პრივილეგიები და შეზღუდვები ეროვნული ნიშნით. არსებითად ეს არის წმინდა წყლის ეროვნული უთანასწორობის გამოვლინება, რომელიც ანტიკონსტიტუციური, ამორალური ხასიათისაა. არადა, მკვიდრი ეროვნების პირებისათვის ბინადრობის ცენზი შეიძლება შემცირდეს, ანდა სულაც არ იყოს გამოყენებული, ხოლო სხვა ეროვნების პირებისათვის, პირიქით, გაიზარდოს. ყველა ამგვარი შეზღუდვა მარტო საბჭოთა კანონმდებლობას როდი ეწინააღმდეგება. ისინი აშკარად გამორიცხულია კანონმდებლობით სხვა ქვეყნებში, მოქალაქეობისა და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.

როგორც ხედავთ, სხვადასხვა სახის ცენზები ნიშნავს სერიოზულ გადახვევას არსებული დებულებიდან. ეს წინგადადგმული ნაბიჯი კი არა, არამედ ერთი ნაბიჯით და რამდენიმე ნაბიჯითაც უკან დახევაა. ცენზების შემოღება წარმოშობდა ბარიერებს საბჭოთა ადამიანებს შორის, ისინი დაიყოფოდნენ მეტად თუ ნაკლებად შესაფერ ანდა, ასე განსაჯეთ, სხვადასხვა ხარისხის ადამიანებად. სავსებით ცხადია, რომ ეს კი არ გააუმჯობესებს, პირიქით, მკვეთრად გააუარესებს მორალურ ვითარებას. არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მთელ ქვეყანაშიც.

ზოგჯერ შემზღუდავი პირობების — ცენზების — შემოღებას ხსნიან ამ ბოლო დროს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში წამოჭრილი პრობლემებით. მთელი რიგი საერთო-საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების უმართებულო საინვესტიციო პოლიტიკას მოჰყვა ის, რომ მკვეთრად გაძლიერდა მიგრაციული ნაკადები ამ რესპუბლიკებში და, როგორც შედეგი, გამწვავდა ბინის, სოციალურ-კულტურული უზრუნველყოფის, მომარაგებისა და განაწილების პრობლემები. მკვიდრი და ჩამოსული მოსახლეობის პროპორციები ისე სწრაფად და მნიშვნელოვნად იცვლება, რომ ეს უარყოფით შედეგებს იწვევდა. მაგრამ ეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების უბედურება, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მისი დეფორმაციის შედეგებია, და მათი „მკურნალობა" საჭიროა მხოლოდ ეკონომიკური და სოციალური გადაწყვეტებით. ამას დღინიადაგ და მოთმინებით უნდა განვმარტავდეთ, რათა მოვიშოროთ და თავიდან ავიცილოთ სხვადასხვაგვარი ნაციონალისტური ჰორები.

მთელი სოციალური სფეროს და ეკონომიკის ნორმალური განვითარება მოითხოვს არა საზღვრებისა და ბარიერების შემოღებას, არამედ, პირიქით, მათს აღმოფხვრას. ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ფარგლებში როგორც საქონლის, ისე სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობა — ეს არის მისი შესაძლებლობების გამოყენების პირობა, მისი პოტენციალის გამოვლენა.

ბ. ტოპორნინი,
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

როგორ არის საზღვარგარეთ?

მართლაც, ვკამათობთ, ვიმოწმებთ რაღაც „ანალოგებს". მაგრამ რეალურად როგორ გამოიყურება ჩვენთვის საინტერესო საკითხი მოქალაქეობის მსოფლიო გამოცდილების მიხედვით?

დღეს დედამიწაზე, სხვადასხვა კონტინენტზე, მრავალი სახელმწიფო-ფედერაციაა. ზოგიერთი მათგანი ცნობს მხოლოდ და მხოლოდ საერთო-საკავშირო მოქალაქეობას. ფედერაციის წევრებს (მაგალითად, პროვინციები კანადაში) თავიანთი მოქალაქეობა საერთოდ არა აქვთ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, დასავლეთ ევროპის ფედერაციებში — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში — მოქალაქეობა, ისევე როგორც ჩვენთან, ორმაგია. სახელმწიფოს მოქალაქე ამავე დროს შტატის, მხარის, კანტონის მოქალაქეა, რომელშიც იგი ცხოვრობს მაგრამ აი, რა არის დამახასიათებელი: ყველა ამ ქვეყნის კონსტიტუციები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს გარემოება **არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვეყნის სხვა მოქალაქეთა უფლებების შებღალვისათვის.**

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-4 მუხლი და მისი მე-14 გასწორება ადგენს, **რომ თითოეული შტატის მოქალაქეებს აქვთ სხვა შტატების მოქალაქეთა ყველა პრივილეგიისა და თავისუფლების უფლება.** ამ „პრივილეგიებსა და თავისუფლებებს" შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, როგორც ამას ხაზგასმით აღნიშნავდა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო, საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება (არადა, სწორედ ამ უფლებას დაგვაკარგინებდა შემოთავაზებული მოქალაქეობის მრავალწლიანი ცენზი). თუ მივმართავთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ავსტრიის, შვეიცარიის კონსტიტუციებს, ყველგან დავინახავთ წესს: კავშირის მოქალაქეს თითოეულ მხარეში (კანტონში) აქვს ერთნაირი უფლებები და მოვალეობები. ეს ძალზე მნიშვნელოვანი წესია — **რესპუბლიკური მოქალაქეობა არ შეიძლება დაუპირისპირდეს საერთო-საკავშიროს.**

ამასთანავე ჩვენი კონსტიტუციური სისტემით დადგენილი რესპუბლიკური მოქალაქეობა ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს თითოეული რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების, ტრადიციების, ინტერესების თავისებურება, გავითვალისწინოთ ეს სახელმწიფოს ეკონომიკურ და დემოგრაფიულ პოლიტიკაში.

ვეთანხმები ბ. ტოპორნინს: ღრმად მცდარია ცენტრიდან მომავალი გადაწყვეტილებანი, რომლებიც გაუმართლებლად ქმნიან მიგრაციულ ნაკადებს, წარმოშობენ საყოფაცხოვრებო სიძნელეებს, იწვევენ სოციალური პირობების გაუარესებას და ა. შ.

სამწუხაროდ, მბრძანებლური სისტემის პირობებში ჩვენთან არ იყო მექანიზმი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა სამართლებრივ საფუძველზე სწრაფად და ეფექტიანად გადაგვეწყვიტა ამასთან დაკავშირებული კოლიზიები (სხვათა შორის, 1924 წლის სსრ კავშირის კონსტიტუცია ასეთ მექანიზმს ითვალისწინებდა). მაგრამ ეს არ ნიშნავს. რომ უნდა გადავვარდეთ სხვაგვარ უკიდურესობაში, როცა საერთო-საკავშირო კანონების მოქმედებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამოკიდებულს ვხდით შესაბამისი რესპუბლიკური ორგანოების მიერ მათს შემოწმებასა და მოწონებაზე. ასეთი მიდგომა ფედერაციის ფუძემდებლური პრინციპების პირდაპირი დარღვევაა. და, ვუბრუნდებით რა მსოფლიო გამოცდილებას, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ არაფერს ამის მსგავსს **არც ერთი** საზღვარგარეთული ფედერაცია არ ცნობს. პირიქით, საყოველთაოდ მიღებულია სხვა წესი — ფედერალურ დონეზე ფედერაციის წევრის კანონმდებლობის შემოწმების შესაძლებლობა.

შემთხვევითია თუ არა ის ფაქტი, რომ ფედერაცია როგორც სახელმწიფო ორგანიზაციის ფორმა, ჩვენს დროში ფართოდ გავრცელდა, ხოლო არც ერთი კონფედერაცია დღეს არ არსებობს, თუმცა წარსულში ცოტა ფედერაცია როდი იყო? ამ კანონზომიერი ევოლუციის ახსნა ის არის, რომ კონფედერაცია გაცილებით მეტია, ვიდრე ფედერაცია, აცალკევებს მასში გაერთიანებულ სახელმწიფოებს, ყოფს მათ მრავალი ტიხრით. ამიტომ იგი არ შეესაბამება მსოფლიო პროცესის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მსვლელობას, არ აკმაყოფილებს ინდუსტრიული საზოგადოების მოთხოვნილებებს, იმ რთულ ურთიერთდაკავშირებულ ეკონომიკურ სტრუქტურას, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე სახელმწიფო სტრუქტურები. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ კიდევ უფრო მეტად გაუსვა ხაზი ამ ტენდენციას. აი, რატომ არის (თუ არაფერს ვიტყვით უკვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ფაქტორებზე), რომ განვითარებული ფედერაციიდან კონფედერაციული ფორმებისაკენ მოძრაობა ისტორიულად უკან მოძრაობა იქნებოდა.

ვ. ტუმანოვი,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.
„პრავდა", 1988 წ. 5 XII.

უცხოეთში

საქდესი იუწყება
6 დეკემბერი

დროა გავამაგროთ ხიდები

ამერიკა მ. ს. გორბაჩოვთან შეხვედრის წინ

ნიუ-იორკი. ძველი ციხესიმაგრის კედლებიდან გავერნორს-აილენდის კუნძულზე, სადაც, როგორც ენციკლოპედიები ამტკიცებენ, დაიწყო ნიუ-იორკის ისტორია, — თვალწინ ამერიკის საქმიანი დედაქალაქის პანორამა გადაგეშლებათ. მარცხნივ აღმართულა საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრის ორი 400-მეტრიანი კოშკი. მათ ესაზღვრება უოლ-სტრიტის უბნები თავისი საფონდო ბირჟითა და ცათამბჯენებით, რომლებშიც განლაგებულია უდიდესი ბანკებისა და კორპორაციების შტაბ-ბინები, ტონს რომ აძლევენ არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების, არამედ აგრეთვე მთელი დასავლეთის სამყაროს საქმიან ცხოვრებას. აქედან, რა თქმა უნდა, ვერ დაინახავ დეკემბერში ნიუ-იორკისათვის დამახასიათებელ სურათს—მილიონობით მოციმციმე ელექტრონათურებს, რომელთა შუქზე კარგად მოჩანს ხეები ნიუ-იორკის ქუჩებში და მოედნებზე. აქედან არ ჩანს არც საღამოობით მანჰეტენის ცენტრში ანთებული მთავარი საშობაო ნაძვისხე.

მაგრამ ყოველივე ეს, ისევე როგორც საშობაო საჩუქრები და სადღესასწაულო ფუსფუსი, — წლის მიწურულის დამახასიათებელი ნიშნებია. დეკემბერი შედეგების შეჯამების დროა და როგორც ამერიკელებს მიაჩნიათ, არა მარტო საოჯახო ბიუჯეტში. მიმავალმა წელმა დღის წესრიგიდან მოხსნა წარსული წლების მრავალი საზრუნავი. მოსკოვის უმაღლესი დონის შეხვედრამ განამტკიცა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების, მშვიდობიანი მომავლის იმედი. და ეს იმედები განვლილ წელს განუყრელად უკავშირდებოდა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი დონის კონსტრუქციული დიალოგის გაგრძელებას, დეკემბრის ამ, პირველ დღეებში კი ნიუ-იორკში მ. ს. გორბაჩოვის მომავალ ჩამობრძანებას, ჰავერნორს-აილენდის კუნძულს, საიდანაც დავიწყეთ ჩვენ ეს მოგზაურობა ნიუ-იორკში და სადაც უკვე ყველაფერი მზად არის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან რ. რეიგანთან და ვიცე პრეზიდენტთან ჯ. ბუშთან მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრისათვის.

—კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, პრეზიდენტო რეიგან!

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, გენერალურო მდივანო გორბაჩოვ!

ამ სტუმართმოყვრულ გრძნობას, რომელიც გამოთქმულია მისალმებაში, ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის შენობის ფრონტს რომ ამშვენებს, ათასობით ნიუიორკელი მკვიდრი იზიარებს.

— ძალიან მინდა მიხეილ გორბაჩოვი სადილად მოვიწვიო, — ამბობს ტანსაცმლის მაღაზიის გამყიდველი ლეროი უილიამსი, — მე და ჩემ მეუღლეს გამზადებული გვაქვს შესაფერისი სადღესასწაულო მენიუ.

საბჭოთა ხელმძღვანელის შინ მოწვევაზე ოცნებობს ბრუკლინელი დიანა ჰენლი. აღტაცებული ვარ იმით, უთხრა მან ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთის კორესპონდენტს, რა ენთუზიაზმით შრომობს მიხეილ გორბაჩოვი მშვიდობის შენარჩუნებისათვის, და ვიმედოვნებ, რომ იგი შეძლებს დაარწმუნოს ჩვენი მთავრობა ნაკლებ აგრესიული გახდეს.

მართალია ესოდენ დიდ ემოციებს არ ამჟღავნებენ, მაგრამ არანაკლები ინტერესით მოელიან საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტს ამერიკის ბიზნესის წარმომადგენლები და მისი ციტადელი — უოლ-სტრიტი. პრესა უკვე რამდენე დღეა გამოთქვამს ვარაუდებს, ეწვევა თუ არა საბჭოთა ხელმძღვანელი საფონდო ბირჟას — ამერიკის ეკონომიკის ბარომეტრს, გამოეხმაურება თუ არა მიწვევას — გაეცნოს ამერიკის უდიდესი კორპორაციების საქმიანობას. რას იზამთ, ამაშიც არაფერია მოულოდნელი. ერთმანეთის შესახვედრად ჩვენი ხალხების მოძრაობა, რომელიც დაიწყო ნდობის განმტკიცებით, პოლიტიკური სტაბილიზაციით, ბუნებრივია, გულისხმობს ჩვენი ქვეყნების საქმიანი წრეების კონტაქტების, ფართო განვითარებასაც.

ამ ბოლო დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების წამყვანმა რადიო და ტელეკომპანიებმა, თითქოს, ამომწურავად გააცნეს თავიანთ აუდიტორიას ნიუ-იორკში საბჭოთა ხელმძღვანელის ყოფნის პროგრამა. მაგრამ მის ბევრ მცხოვრებს აშკარად არ მოსწონს ოფიციალური ოქმის ფარგლები. ვიზიტის დროს ნიუ-იორკის ერთ-ერთმა გაზეთმა მკითხველებს სთხოვა ეპასუხათ კითხვაზე, რომელი რაიონის ნახვას ურჩევდნენ, რათა მაქსიმალურად სრული წარმოდგენა შეექმნას ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს ქალაქზე.

უბრუკლინოდ არ არსებობს ნიუ-იორკი, — ასე მიაჩნიათ იურიდიული კანტორის თანამშრომელს სიუზენ ეიზრიელს და გაზეთის რედაქტორს კარმინე მოკიოს. გამყიდველი რიჩარდ კეიპერსი აღნიშნავს, რომ ნიუ-იორკში არის არა მარტო მანჰეტენის ცათამბჯენები, არამედ სხვა, ნაკლებად მიმზიდველი სანახაობანიც — ჯურღმულები, უსახლკაროთა თავშესაფრები და ღამის სათევები. მიმომხილველ ალექს პოლეტცკის ნიუ-იორკი ვერ წარმოუდგენია მხატვართა და პოეტთა რაიონის გრინიჩ-ვილიჯის გარეშე, ხოლო ოფიციანტ მაიკლ ჯონსკოს — უბროდვეოდ...

ანკეტაზე პასუხებში უამრავი მისამართია დასახელებული. ნიუ-იორკი ღიაა შეხვედრებისათვის. დადგა დრო იმედიანად და ორივე მხრივ გამაგრდეს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრობის ხიდები — ასე ფიქრობს დღეს ათასობით ამერიკელი. (საქდესი).

შ ტ ა ბ - ბ ი ნ ა შ ი

● **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში ვიზიტის საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის გამოყოფილია სხდომათა ორი უდიდესი დარბაზი. ერთი — სპეციალურად საბჭოთა დელეგაციისათვის ბრიფინგებისა, და პრესკონფერენციების მოსაწყობად, მეორე — მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის, მათ შორის საბჭოთა ჟურნალისტებისათვის. აქ მოეწყობა მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლის პირდაპირი სატელევიზიო ტრანსლაცია ინგლისურ ენაზე სინქრონული თარგმანით.**

● **შტაბ-ბინაში გახსნილია აგრეთვე პრესცენტრი, სადაც იმუშავებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ათასზე მეტი ჟურნალისტი იმ მრავალრიცხოვანი კორესპონდენტების დამატებით, რომლებიც მუდმივად არიან აკრედიტებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.**

ესაუბრნენ გარდაქმნაზე

საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენელთა პრესკონფერენცია

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გაიმართა საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეთა პრესკონფერენცია. ისინი ესაუბრნენ ნიუ-იორკში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტის გასაშუქებლად ჩამოსულ ჟურნალისტებს სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნის პროცესებზე.

პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ აკადემიკოსი ვლადიმერ კუდრიავცევი, მწერალი ვასილ ბიკოვი, კინორეჟისორი თენგიზ აბულაძე, ცნობილი მსახიობი დონატას ბანიონისი, პუბლიცისტი იგორ დედკოვი. მათ უპასუხეს მრავალ შეკითხვას, რომლებიც ეხებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლახან გამართული სესიის შედეგებს, საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის გარდაქმნას, კონსტიტუციის ახალ ცვლილებებს, შეეხნენ გარდაქმნისადმი ინტელიგენციის დამოკიდებულების, საჯაროობის პრობლემებს, აგრეთვე იმას, თუ როგორ დამკვიდრდება საბჭოთა საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები იმ საკანონმდებლო აქტებით, რომელთა მიღება მომავალი წლისათვის არის დაგეგმილი.

პრესკონფერენცია

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში

მოსკოვში, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში გაიმართა პრესკონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

პრესკონფერენციაზე გამოსვლისას სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. თ. პეტროვსკიმ თქვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი 7 დეკემბერს გამოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 43-ე სესიაზე და შეკრებილთ გააცნობს საბჭოთა ხელმძღვანელობის შეხედულებებს მსოფლიო განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 43-ე სესიის მუშაობაში საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის მონაწილეობის დღეებში გაიმართება მისი შეხვედრა ერთდროულად ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ და მომავალ პრეზიდენტებთან.

ნიუ-იორკში ყოფნის შემდეგ გაიმართება მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური მეგობრული ვიზიტი კუბაში.

12-14 დეკემბერს მ. ს. გორბაჩოვი ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა დიდ ბრიტანეთს, სადაც მოლაპარაკებას გამართავს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან მ. ტეტჩერთან. მოეწყობა აგრეთვე შეხვედრა დედოფალ ელისაბედ II-სთან.

შემდეგ ვ. თ. პეტროვსკიმ და ახალი ამბების სააგენტოს გამგეობის თავმჯდომარემ ა. ი. ვლასოვმა უპასუხეს ჟურნალისტთა კითხვებს მ. ს. გორბაჩოვის მომავალი ვიზიტების შესახებ.

პრესკონფერენციაზე წაიკითხეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ავღანეთის შესახებ. (საქდესი).

ნობელის პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონია

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში ორშაბათს გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის დაცვის ძალებისათვის მშვიდობის ნობელის პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხავიერ პერეს დე კუელიარმა, რომელიც ცერემონიაზე გამოვიდა, ამ პრემიას ამავე დროს უწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლის აღიარება მშვიდობის დაცვაში და მოწოდება ყველა საერთაშორისო გაერთიანებისადმი გააქტიურონ ერთობლივი მეცადინეობა პლანეტის ყველა რეგიონში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვის. მშვიდობის შენარჩუნებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაციები, თქვა მან, მთავრობებისა და ხალხების საერთო საქმეა.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **მადრიდი. ესპანეთიდან ამერიკის სამხედრო ბაზების გატანის მოთხოვნის მხარდასაჭერი მრავალათასიანი მანიფესტაცია გაიმართა მორონ დე ლა ფრონტერაში.** ესპანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ხულიო ანგიტამ აღნიშნა, რომ მთავრობამ დაარღვია რეფერენდუმის პირობა ნატოში ქვეყნის მონაწილეობის შესახებ, და თქვა, რომ უკვე შეკრებილია 380 ათასი ხელმოწერა მოთხოვნით მოეწყოს უცხოეთის სამხედრო ბაზებისადმი მიძღვნილი საერთო-ეროვნული რეფერენდუმი.

● **პრაღა. ჩეხოსლოვაკიის დიდ სამრეწველო-კულტურულ ცენტრში — ქალაქ ბრნოში გაიხსნა გამოფენა „მომავლის ენერგია",** რომელიც ეძღვნება სსრ კავშირში, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკებისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სხვა წევრ ქვეყნებში ატომური ენერგეტიკის განვითარებას.

● **ტოკიო. სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა რო დე უმ დიდი ცვლილებანი მოახდინა ქვეყნის მთავრობის შემადგენლობაში.** მიღებული ცნობების თანახმად, პრემიერ-მინისტრი ლი ჰენ ჩე გადააყენეს პოსტიდან. მის ნაცვლად დანიშნულია ეროვნული კრების (პარლამენტის) დეპუტატი სამართლიანობის მმართველი დემოკრატიული პარტიისაგან კან ენ ჰუნი.

შემთხვევა

ძლიერი აფეთქება

ბოგოტა. კვირას ძლიერი აფეთქება მოხდა კოლუმბიის დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე — აფეთქდა საახალწლო ფეიერვერკებისათვის განკუთვნილი პიროტექნიკური მასალით მოვაჭრე მაღაზია.

როგორც პოლიცია იუწყება, ოთხი კაცი დაიღუპა, ათობით დაიშავდა. ამ ინციდენტის მიზეზებს არკვევენ.

კოლუმბიელთათვის ახალი წლის დღესასწაული ყოველთვის დაკავშირებულია ტრადიციულ ფეიერვერკებთან — რაკეტების გაშვებასთან, შუშხუნების ცეცხლთან და პეტარდების აფეთქებასთან. ხელისუფლები ყოველ წელს აფრთხილებენ მოსახლეობას, რომ დაიცვან უსაფრთხოების საჭირო ღონისძიებები პიროტექნიკური საშუალებებით სარგებლობისას, მაგრამ ეს, ხშირად არ არის საკმარისი.

● ვენესუელა

აირჩიეს პრეზიდენტი

კარაკასი. ვენესუელაში გამართულ ამ სამხრეთ ამერიკის ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნებში მომდევნო ხუთი წლის ვადით არჩეულია მმართველი დემოკრატიული მოქმედების პარტიის თავმჯდომარე კარლოს ანდრეს პერესი.

თუმცა კენჭისყრის შედეგების შეჯამება ჯერ კიდევ გრძელდება, რესპუბლიკის უზენაესი საარჩევნო საბჭოს პირველ ოფიციალურ ბიულეტენში აღნიშნულია, რომ პერესმა ხმების 51,7 პროცენტი შეაგროვა და პრაქტიკულად მას უკვე ვეღარ დაეწევა მისი მთავარი მეტოქე — სოციალურ-ქრისტიანული პარტიის ყოფილი გენერალური მდივანი ედუარდო ფერნანდესი, რომელმაც ხმების 36,3 პროცენტი მიიღო. ამ პარტიის ლიდერმა თავი დამარცხებულად ცნო და გამარჯვება მიულოცა პერესს.

კარლოს ანდრეს პერესს სახელმწიფოს მეთაურის პოსტი ეკავა 1974-დან 1979 წლამდე. ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს მან განახორციელა მთელი რიგი რეფორმები, რომლებსაც მხარი დაუჭირეს მოსახლეობის ფართო ფენებმა.

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

5 დეკემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ა. ჩხეიძე შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წევრებს. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სახელმწიფო აპარატისა და კერძო სექტორის შორის გაცვლის საპრეზიდენტო პროგრამის მონაწილენი.

სტუმრებს პასუხი გასცეს შეკითხვებზე, რომლებიც ეხებოდა რესპუბლიკის ცხოვრების სრულიად განსხვავებულ მხარეებს: გარდაქმნის მიმდინარეობასა და მის გავლენას ეკონომიკის განვითარებაზე, საჯაროობასა და დემოკრატიზაციას, დაგეგმვის ცენტრალური რესპუბლიკური ორგანოების ურთიერთობას, ერთობლივ საწარმოთა შექმნის პერსპექტივებს, საზღვარგარეთის ფირმებთან და კომპანიებთან საქართველოს პირდაპირი კავშირურთიერთობების განვითარებას, საბჭოთა ადამიანების სოციალური აქტიურობის ზრდას და ა. შ.

დელეგაციის წევრებმა აღნიშნეს ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობის გაზრდილი ინტერესი სსრ კავშირისა და, კერძოდ, საქართველოს ცხოვრებისადმი. მათ თქვეს, რომ რესპუბლიკის, განსაკუთრებით თბილისის ერთ-ერთი სკოლის გაცნობამ, მოსწავლეებთან და პედაგოგებთან საუბარმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დელეგაციის წევრებზე, რომლის შემადგენლობაში შედიან ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების წარმომადგენლებიც, დაინტერესდნენ რესპუბლიკის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ეკონომიკური და სავაჭრო კავშირურთიერთობების დამყარების შესაძლებლობებით.

(საქინფორმი).

„რამაზ ჩხიკვაძე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მსახიობია“

ასეთი შეფასება მისცა ქართველი მსახიობის ხელოვნებას ინგლისურმა გაზეთმა „ტაიმსმა“. 20-27 ნოემბერს დიდი ბრიტანეთის ქალაქ ლესტერში პეიმარკეტ-თეატრში გაიმართა სსრ კავშირის სახალხო არტისტის რამაზ ჩხიკვაძის ბენეფისი და გალა-კონცერტები. დიდი ბრიტანეთის თეატრალები მეხუთედ შეხვედნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტის, თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის ნამყვანი მსახიობის ხელოვნებას. პირველად მას გაეცნენ 1979 წელს, როცა თეატრი მონანილეობდა ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალში. ექვსი თვის შემდეგ მისი გასტროლები გაიმართა ცნობილ ლონდონის „რუნდჰაუსში“. შარშან რამაზ ჩხიკვაძე მიიწვია „ოლდ ვიკის“ თეატრმა დიდი ინგლისელი მსახიობის მაიკლ რედგრეივის ხსოვნის საღამოში მონაწილეობისათვის. წელს, მარტში ქართველმა მსახიობმა დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში გამართულ მსოფლიო ვარსკვლავთა გალა-კონცერტში შეასრულა სცენა „ეფეფ ლირიდან“. მისი პარტნიორი იყო გამოჩენილი ინგლისელი მსახიობი ვანესა რედგრეივი, — რომელიც ჩხიკვაძის ხელოვნებით, ქართული კულტურით აღფრთოვანების ნიშნად ქართულ ენაზე ასრულებდა კორდელიას როლს.

თითოეული შეხვედრა საუკეთო სცენური ოსტატობის ნამდვილ ტრიუმფად იქცეოდა, სპეციალისტთა და მაყურებელთა გაცნობიერებული დისკუსიების საგნად იქცეოდა, პრესის აღფრთოვანებებულ შეფასებებს ინსპირებდა. და თუ ედინბურგში კრიტიკა ჩხიკვაძეს ადარებდა ლორდ ლოურენს ოლივიეს და მას „ეკვასიელ ოლივიეს“ უწოდებდა, მოგვიანებით ასეთი შედარებანი, რომელთა ღირსად ბრიტანელი რეცენზენტები იშვიათად თუ ვინმეს ჩათვლიან, საჭირო აღარ იყო. „ჩხიკვაძე უბრალოდ თანამედროვეობის გამოჩენილი მსახიობია, და ამით ყველაფერია ნათქვამი“, — წერდა „უაინენშლ ტაიმსი“. გაზეთი „გარდიანი“ კი იმ დროს აღნიშნავდა: „რობერტ სტურუამ და მთელმა დასმა თვალნათლივ გვიჩვენეს, რომ მათგან შეიძლება და უნდა ვისწავლოთ კიდეც ის, თუ როგორ დაგდგამთ შექსპირი...“.

და აი, ახალი მიწვევა. რამაზ ჩხიკვაძე და მისი კოლეგები — გურამ საღარაული, ჯემალ ლაღაძიძე, სოსო ლაღიძე, კახი კავსაძე, ალნარ ლოცაშვილი, დათო ჩხიკვაძე, ნანა ფაჩუაშვილი, თამარ დენენ ბრიტანელებს ნაროდგენენ ორსაათიანი ნარმოდგენით, რომელშიც შედიოდა სცენები სპექტაკლებიდან: „რიჩარდ მესამე“, „ჯეკასიური ცარცის წრე“ და „მეფე ლირი“.

— გამოსვლები მიმდინარეობდა ანშლაგით, — გვიამბობს საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის „თეატრის კავშირის“ დირექტორი ნ. ჩხიკვაძე. — ლესტერში, რომელიც საათნახევრის სავალზეა ლონდონიდან, ჩამოვიდნენ გამოცდილი თეატრალები, მსახიობები, კრიტიკოსები, ჟურნალისტები, ლონდონის, მანჩესტერის, გლაზგოს სტუდენტები... მაყურებელთა დარბაზი ვერ იტევდა ყველა მსურველს, ადამიანები ისხდნენ კიბეებზე, იდგნენ გასასვლელებში. ყოველი ნარმოდგენის დამთავრების შემდეგ კი ისმოდა ხანგრძლივი ტაში, იყო უსასრულო გამოძახება, აღფრთოვანებული შეძახილები, რეცენზიები ინგლისური გაზეთების ფურცლებზეაი, კერძოდ, რას წერდნენ ისინი:

„გარდიანი“: „ალბათ, ძნელია დაავჯერო ვინმე, რომ ორსაათიანი ნარმოდგენა გაუგებარ ენაზე შეიძლება იყოს არა მარტო საკმაოთ გასაგები, არამედ აღგაფრთოვანოს, მოგაჯადოოს, დატოვოს ნარუშლელი კვალი სულსა და ხსოვნაში. ეს ქნეს რამაზ ჩხიკვაძემ და მისმა კოლეგებმა. ჩვენ გვქონდა ბედნიერება, შევხვედროდით სავსებით გენიალურ ნამუშევარს. ნარმოდგენაში ლირის, რიჩარდისა და აზდაკის როლებს ასრულებს ფანტასტიკური რამაზ ჩხიკვაძე. დიდებულია მისი თვალები, უზადოა მსახიობის ტექნიკა. მის თამაშს სულგანაბული ადევნებ თვალყურს... დიდხანს გვეხსომება გრუნდ და კორდელია, რომლებიც თამარ დოლიძემ შეასრულა. მშვენიერია რეგანსკრა, მუსიკალური თანხლება. წარმოდგენის ბოლოს ულერს საოცარი „ინდეპენდენტი“: „სამწუხაროდ, თბილისელ ქართველ კოლექტივს არ ჩამოუძღვია საამბაკერო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა, რამაზ ჩხიკვაძე ამ უნიკალური დასის ლიდერია. იგი 61 წლისაა. მხიარული და უშუალო, მომხიბვლელია ურთიერთობაში და დიდი როგორც მსახიობი. ახლა ამ თეატრში, ისევე როგორც მეტწილ საბჭოთა სცენურ კოლექტივებში, მიმდინარეობს თეატრალური რეფორმა. მოსკოველი მწერალი ალექსანდრე გელმანი ჩიოდა ამას წინათ იმის გამო, რომ ჯერჯერობით მოსკოვის თეატრებში გარდაქმნა მძიმედ მიმდინარეობს. მაგრამ ქართული ენთუზიაზმი ძლიერი და მყარია. „ჩვენ ახლა ძალიან თავისუფალი ვართ. შეგვიძლია ეუფნენთ ყველაფერი, რაც გვსურს. არ არის არავითარი ცენზურა, უფლება გვაქვს ვანარმოთ მოლაპარაკეები კულტურის სამინისტროს ჩაურეველად. ახალი ცხოვრება დაგვიდგა“..., — ამბობენ ჩვენი სტუმრები.

მაინც რა არის ქართული თეატრის ესოდენ მიმზიდველი ძალა? იგი ამ ხალხის საერთო სულიერი კულტურის ნაწილია“.

ქართული ხალხური სიმღერები. ისინი მოწმობს მდიდარ ქართულ კულტურას, რომელიც სამი ათასი წლისაა...

„ტაიმსი“: „რამაზ ჩხიკვაძე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მსახიობია. მისი მძიმე, გაჭაღარავებული თავი მოგვაგონებს განსვენებული ენდრიუ კრუქშანკის თავს, მაგრამ კრუქშანკისაგან განსხვავებით, რომელიც აუდიტორიას იპყრობდა ენერგიით, დემონის მსგავსად, რამაზ ჩხიკვაძის რიჩარდი მოგვაგონებს ნაპოლეონს, რომელიც თამარ დოლიძემ შეასრულა. ნაპოლეონ ბონაპარტი ერთად მოანწიფებოს ამ ორ ადამიანს, ერთ-ერთ ყველაზე მონინავე უნოდა თბილისის რკინიგზის კბილის პოლიკლინიკას. ასეთი შეხვედრები გვამდიდრებენ, გვეხმარებიან გავიერთიანოთ სამამულო სტომატოლოგიის ნინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივი ძიება, დასძინნა მთავარმა სპეციალისტმა.

● ფაქტი ● მოვლენა ● კომენტარი

მუსიკა: მეორე საკავშირო ასამბლეაზე

● **რიგში** გავაფართოოთ და განვამტკიცოთ მუსიკალური კულტურის მოღვაწეთა კონტაქტები მუსიკის მოყვარულებთან? როგორ დავეხმაროთ მუსიკალურ-ესთეტიკურ აღზრდას, მის შემდგომ განვითარებას? ეს და სხვა აქტუალური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მუსიკალური კულტურის პრობლემებთან გარდაქმნის პერიოდში, განიხილეს კლასიკური მუსიკის მოყვარულთა კლუბების მეორე საკავშირო ასამბლეის მონაწილეებმა, ასამბლეამ ამ დღეებში მუშაობა დაამთავრა სვერდლოვსკში. საქართველოდან ამ ფორუმში მონაწილეობდნენ კომპოზიტორები თენგიზ შავლოხაშვილი და რუბენ კაკლიტე, რომელთა ნანარმოებები ფართოდ იყო წარმოდგენილი ასამბლეის პროგრამებში.

გაერთიანებული ძალებით

● **თბილისში** მუშაობა დაამთავრა სტომატოლოგთა საკავშირო თათბირ-სემინარმა, რომელმაც განიხილა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებისა და მათი ოჯახებისადმი სტომატოლოგიური დახმარების მდგომარეობა და მისი სრულყოფის პერსპექტივები. თათბირ-სემინარის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს კბილის დაავადებათა დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის, პროთეზირების, იმ ქირურგიული და კონსერვატიული მეთოდების გამოყენების გამოცდილება, რომლებსაც მიმართავენ პაროდონტოზის — ერთ-ერთი გავრცელებული პათოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გამარტა რა თბილისის შეხვედრის შედეგები, სსრ კავშირის გზათა სამინისტროს მთავარმა სტომატოლოგმა ა. აკაესოვმა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას თქვა, რომ თათბირ-სემინარი ხელს შეუწყობს რკინიგზელებისადმი სტომატოლოგიური დახმარების ხარისხის გაუმჯობესებას, რომელიც ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. საბჭოთა ჯანდაცვის დარგის რეფორმები უდავოდ დადებითს გავლენას მოახდენს სტომატოლოგიის განვითარებაზეც. მან ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მონინავე უნოდა თბილისის რკინიგზის კბილის პოლიკლინიკას. ასეთი შეხვედრები გვამდიდრებენ, გვეხმარებიან გავიერთიანოთ სამამულო სტომატოლოგიის ნინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივი ძიება, დასძინნა მთავარმა სპეციალისტმა.

ღვაწლის დაფასება

● **ქუთაისში**, ერთი ღირსშესანიშნავი „მისამარი“ გაჩნდა ქუთაისში. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ტბაძის ქუჩაზე მდებარე სახლს, სადაც დაიბადა და სიყმაწვილის წლები გაატარა საქართველოს ოსახალხო არტისტმა, გამოჩენილმა ქართველმა პიანისტმა პროფესორმა ანასტასია ვირსალაძემ, გაუკეთდა მემორიალური დაფა.

— არაფერი ისე არ ამშვენებს ერს, — თქვა აქ გამართულ მიტინგზე ანასტასია ვირსალაძის ნამონაფარმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ლევ ვლასენკომ, — როგორც ღირსეული მამულიშვილის ხსოვნის ღირსეული დაფასება. ისეთი პიროვნება, როგორიც იყო ანასტასია ვირსალაძე, ნებისმიერი ქვეყნის მუსიკალური კულტურის ისტორიას დაამშვენებდა. ჩემი სასიკეთოდ ვედადგგიოს ღვაწლის დაფასების ამ წუთებში განსაკუთრებით მახარებს ის, რომ მემორიალური დაფა გიფიხსნა ნაკაირა ფალიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ ღღეებში.

სიტყვებით და მოგდნებებით, გამოვიდნენ ანასტასია ვირსალაძის შვილი პროფესორი კონსტანტინე ვირსალაძე, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი დალი გელოვანი, ქუთაისის მეცნიერ სამუსიკო სკოლის დირექტორი თამარ გვაძაბია და სხვები.

რუბრიკისათვის ი ს გამოყენებული ი ა საკადესას, საქინფორმისა და „კომუნისტის“ კორესპონდენტთა მასალები.

ბაბარჯოსათ, მე თქვენი თანამოქალაქე და ქართული მწერლობას მეგობარი გახლავართ — ასე გავგაცანო თავი ამ დღეებში თბილისში სტუმრად მყოფმა ალბერტ ოგანიანმა.

—დიახ, თბილისელი ალი ვარ, ისაბნში დავიბადე და გავიზარდე. 94-ე საშუალო სკოლა, მერე კი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი დავამთავრე სომხური ფილოლოგიის განხრით. მწერალი ვარ. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალი სტატიის ავტორი, ეიბეჭდება როგორც ქართულ და სომხურ, ასევე რუსულ პრესაში.

მონაცრებით მოსული სტუმარი

27 ნოემბერ რაც მოსკოვში მუშაობს ალბერტ ოგანიანი. სხვადასხვა რუდაქციებში მოღვაწეობდა. მეორე წელია, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობაში კონსულტანტია. ლენინის სახელობის მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის საბჭოთა ლიტერატურის კათედრაზეც კითხულობს ლექციებს. — მომეე ეროს ლიტერატურული ცხოვრების საქმის ჟურნალია.

როგორც ვთქვით, ამ დღეებში ჩვენი სტუმარი იყო — ნოდარ დუმბაძის დაბადების 60 წლისთავზე დაუპატიჟებიათ ქართველ მწერლებს და სიხარულით ჩამოვიდა.

ალტაკეულია სახალხო ზეიმის და საყვარელის იმ გამოვლინებით, რაც იგრძნო მან მწერლის მშობლიურ სოფელში და მერე უკვე აქ, თბილისში. სწორედ ამისათვის მოვიდა, რომ ნოდარ დუმბაძის შემოქმედებისადმი და ხსოვნისადმი ერთგულებისა და მონატრების გრძნობა გაეზიარებინა ქართველი მკითხველისათვის — ამაზე ვისაუბრეთო.

— კეთილ სიტყვას და სურვილებს გზას ვინ დაუბერს...

— ამ დღეობამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა ხალხის საყვარული ნოდარისადმი და მისი შემოქმედებისადმი. ასი ილიკო და ილიორიონი ზეიმობენ ეჭნებოდა ზედოსთავსა და ზენობანში. ბიეშიე კი ცალთვალაგეული გამოსულიყვნენ, სათოაც გაიხედავდით ყველგან ნოდარის გმირებს დაინახავდით. მამიდამისი ქალატინი დარეკანა გავეცანი, გურიაში ვინც ყოფილა, უკეთ იგრძნობს მწერლის გმირებას ხასიათს — მწერალი თითქოს დაესესხა ხალხს და მერე დაუბრუნა მათვე მისგან მხატვრულად ნორაშესხმული სახეები — მთავარი ის არის, რომ პატარა ზენობანს კარგად ახსოვს ნოდარი,— იქ დადიოდა იგი დაწყებით სკოლაში, მასი ოატიმიზმის, პუმანიზმის, ოუმორის წყაროა გურიის ეს სოფლებიდ.

ნოდარ დუმბაძის ოუმორი (ამაზე ადრეც ვწერეთ ჩემს წერილში) ნამდვილი გურული ოუმორია, მაგრამ ეეროპული ელფერით — რასაც ხალხისგან გაიგონებდა, გარაინდავდა და მხატვრულ ღირსებას მატებდა — იგი წმინდად ასრულებდა როგორც მწერალი და მხატვარი თავის როლს. ალბათ იმ ძალმა, ბავშვობამ თავისებური როლი ითამაშა, ნოდარი რომ ასეთი დიდი ჰუმანისტი (ოპტიმისტი), ზოგი ფიქრობს, თითქოს ნოდარის ბავშვობა და მთელი ცხოვრება იყო ძალიან მზიური, მაგრამ ეს ასე როდი. თითქმის ობლადაა გაზრდილი და მით უფრო ზნეშვნელოვანია ერთმზრივ მამიდის, მეორე მხრივ დეიდამისის, ქალატინ ზოლის და მისი ოჯახის როლი ყმაწვილის აღზრდაში. რომაში „ნუ გეშინია ოდა“ ეს ინტერპიეთნალური თემაც მისი ეკეთილშობილი ხუნებიდან მომდინარეობს. გარდა თვით ქართული ტიპაჟის ბრწყინვალე გალერეისა, სხვადასხვა ხალხთა წარმომადგენლებიც ხომ ბრწყინვალედ ასახა: რუსი, სომეხი, ბერძენი, ბოშა.

რაც შეეხება ნოდარ დუმბაძისა და სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობას, ვიტყოდი: მე რომ ბედი მაქვს და ქართულადვე ეკითხულთ ნოდარის ნაწარმოებებს, უფრო კარგად ეგრძნობ მისი გმირების ხასიათს.

რაც შეეხება „თეთრ ბაირაღებს“, რომელშიც ძირითადად უარყოფითი სახეებია, მინე ჩანს ავტორის სიმპათია ტიგრან გულიანისადმი.

მე და. ჩემს სტუდენტებს ერთი საინტერესო ამბავი გეიამბო „ნუ გეშინია ოდას“ თაობაზე. მისი ნაწარმოებები ზომ ბეკრგან იდგმებოდა ერთ-ერთი ქალაქის აკადემიური თეატრის რეჟისორი მოსული თხოვნით, რომ ინსცენირებას უფლება მიეცა — ეს ეხებოდა „ნუ გეშინია ოდას“ და როცა თანხმობა მიიღო, მეორე თხოვნა: დაბადების ღღე — 14 ივლისი („ბასტილიის ღღე“, როგორც ვიუმორობდით), მისცეს ახალი თარგმანით ან სტატიით მიმელოცა.

დამაგვირგვინებელი იყო შარშან წლის ბოლოს გამოცემული ორტომეული, რომელშიც ხუთივე რომანი და მოთხრობები შეიადა (მთავარი მთარგმნელია ქართველოლოგი ჰრაჩია ბაირამიანი). თარგმანი მაღალ დონეზეა შესრულებული. ერთი ნაკლია — „თეთრი ბაირაღები“ რუსულიდან ითარგმნა, რისიც წინაადმდეგი ვარ — ასეთი ახლობელი ხალხების ლიტერატურა დედნიდანვე უნდა თარგმნოს, საერთოდ, წიგნი გემოვნებით და სიყვარულით დამზიეა პროფეკსორ ჰრაჩ თავრაზიანის წინასიტყვაობით. აქვე მინდა ვახსენო ლეონ მიკირტიჩიანის გულითადი წერილებიც ნოდარზე.

რაც შეეხება ჩემს წერილებს, „ანსაკუთრებით მოიწერეს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი პორტრეტი. ორი სტატია „მარადისობის კანონის“ შესახებ (ერთი „სოვეტაკან ვრასტანში“ დაიბეჭდა, მეორე „სოვეტ გეოგრაფისტანში“)

სამწუხაროდ, ზოგჯერ ზოგიერთი სპეციალური ხასიათის: (უფრო ზუ ეთი პრეტენზიის მქონე) გამოკვლევა თუ სტატია არეკვეულ ინ ორ-ზრივ ჰარმონიას, რაც დამყარებულია საუკეკუნეების მანძილზე ჩვენ ორ ერს შორის და რაც წინააღმდეგ ბმა ჩვენამდე საოუთად მოიტანეს.

ისევ მინდა დავუბრუნდეთ 1978 წელს და ინ ბეზეგდრას, რომელიც სასიამოვნო მოგონებად დამრჩა, ეს იყო 22 აპრილი, ნოდარ დუმბაძის ამერიკაში გამგზავრების წინ ბოსკოვის ლენინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ლენინ სახელობისავე უფდიტორიაში რომ მოვიწვიეთ. ჩემმა სტუდენტებმა კარგად იცოდნენ ნოდარ დუმბაძის შემოქმედება და თუმცა შეკვეერა ეკსპრომტული იყო. ეს ამ ეტყობოდა მის მსვლელობას, პირით, ყველა შინაგანად ზმად იყო ამ ღღისათვის — რაც კი ერეულად ითარგმნა, ყველაფერს იცნობდნენ და ამას დიმიტრ შეკვილები ტრობისმოყვარე ახალგაზდობისა, ვინ იყვნენ მისი პიტატიპები, მასწავლებლები და ა. შ.

ბეკერი ეკამთოს „თეთრი ბაირაღების“ გარშემო — სათაურით დაწყებული და სახეთა სისტემით დამთავრებული. აქ მინდა ხაზი გავუსვა მწერლის სამართლიანობასა და პატიოსნებას. ე. წ. ეძრეობის წლებში „ჩვენ არც ისე ბევრ ბიერებულები ვიყავით პირდაპირ და პატიოსანი ნაწარმოებებით — ეს რომანი კი სწორედ უძრაობის ხანისთვის დამახასიათებელი უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ არის მიმართული.

ამავე რომანთან დაკავშირებით მაგონდება ერთი ფაქტი: მე და ჩემმა სტუდენტებმა რომ ინაურეთხელ ეცადეთ ბილეთების, ზოგნა და ე შემაკობაც კი დაგვჭირდა „ბალაია ბრონნაიაზე“ ლევ ტოლსტოის მიერ დადგმულ სპექტაკლზე რომ შეგვეღწია. მერე ეს შესანიშნავი სპექტაკლი რატომღაც მოიხსნა. სანატერესოა ვის არ მოეწონა, ვისი ნებით მოხდა ეს ამბავი?! ხალხთა შორის, ჩვენ კი არა თვით ავტორსაც გაუკვირდა იმ თეატრში შეიწვევა.

...შეხვედრის დასასრულს რეჟისორ ა გოგონებმა ყვავილები მიაგებეს მწერალს და მან იხუმარა, ახლა მეე 20 წლის ჰპუკეი მგონიაო თავი.

ასეთი ღიმილიანი და „ბალელ დარჩა იგი ყოველი ჩვენგანის მეგონებაში.

ესაუბრა
ნანა ღვინეფაძე.

ტელევიზია—ოთხშაბათი, 7 დეკემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 12.30 —ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ეტიუდი მშრომელ ადამიანებზე“. 13.00— „ნაზუადეეს“. 13.45 — მათმბატიკის ტელეკურსი. 14.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „კედარი ტყის გარეშე არ ცოცხლობს“. 14.45 — მასწავლებლის საათი — ბუნების დაცვა. 15.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამნი მთავარ როლში“ (პარველი ჩვენება). 15.45 — საინფორმაციო გამოშვები (რუსულ ენაზე). 15.55 — შეგვისწავლით გერმანული ენა. 16.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „სიცოცხლის თარგი“. 17.20 — მოსწავლეთათვის — „თეატრი და ბავშვები“. 18.10 — „მეგობრობის ბაკეკეილები“. 18.35 — განეხადებები. 18.45 — „ქიმიზაცია. სიკეთე და ბოროტება“. 19.30 — ხალხური შემოქმედება — „თუ კაცი გონიერია“. 20.00 — მოამბე. 20.50 — მრავალსერიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე“. II სერია. 22.00 — „ერემია“. 22.40 — გარდაქმნის პროგექტორი (მ.). 22.50 — მრავალსერიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე“. III სერია.

მეორე პროგრამა. 18.35 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ყანჩის ბარტყი“. 19.10 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 19.40 მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35— მხატვრული ფილმი „არენაზეა ლურიხი“.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — მხატვრული ტელეფილმი „აკირა, შვიდის ნახვვარი“. II და III სერია. 12.00 და 16.30 — ახალი ამბები. 16.40 — დოკუმენტური ტელეფილმები „ხუთნლედი: საქმენი და ადამიანები“. 17.10 — „გამარჯობა, მუსიკავ!“. 17.55 — „ბიბლიოთეკა“. 18.00 — მეცნიერება: თეორია, ექსპერიმენტი, პრაქტიკა. 18.30 — სიმღერა-88. 18.45 — დოკუმენტური ტელეფილმი „ტრანსარქტიკულ საერთაშორისო ექსპედიციიზე სსრ კავშირი-ჩრდილო პოლუსი-კანადა. პირველი ფილმი — „პოლუსსისაკენ“. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მოქმედი პირნი, საოჯახო საბაჟეში სალი. 20.45 — მხატვრული ტელეფილმი „აკირა, შვიდის ნახევარი“. II სერია. 22.00 — „ერემია“. 22.40 — გარდაქმნის პროგექტორი. 22.50 — „ვიენობდეთ, ლერო!“ ამერიკელი მომღერლის ლერი ლონგის შემოქმედება. 24.00 — დღეს მსოფლიოში. 0.15 — ს. პროკოფიევი. სიუიტა კინოფილმიდან „პორუჩიკი კიჟე“.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 და 10.35 — ფიზიკა. VIII კლასი. 10.05 და 12.05 — გერმანული ენა. 11.05 — რუსული მეტყველება. 11.35 და 12.35 — ისტორია. IX კლასი. 13.05 — ქალაქები და ნლები. დოკუმენტური ფილმები. 14.15 — საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. 15.15 — ახალი ამბები. 15.20 — განმეორებითი ტელეფილმის დღის სანსანი. მხატვრული ტელეფილმი. „ტრესტი, რომელიც გაკოტრდა“. I სერია. 19.00 —„თოქვსმეტ ნლამდე და უფროსი ასაკისა“. 20.00 — რეკლამა. 20.05 — პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები. 8. ფედოტოვი (ვიოლინო). 21.00 — „ძიები ნებისა, პატარებო!“. 21.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 21.25 — ყველასა და თითოეულისათვის. 22.00 — „ერემია“. 22.40 — გარდაქმნის პროგექტორი. 22.50 — „პოეზიას ვეაუფენ?“. დოკუმენტური ფილმი სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატ პოეტ 8. კ. ლუკონინზე. 23.10 — კინოფიფაში. 0.15 — ახალი ამბები.

საფუძველი ჩაეყარა სასიკეთო ტრადიციას

ბათუმი, 6 დეკემბერი (საქინფორმის კორ.). საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბორდა“ (1-ლი პრემია), აჭარის სამეცნიერ სახოგადოებასთან და ხელოვნ რაიონულ კულტურის სახლთან. არსებული ფოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერრუნა“ და გურჯაანის რაიონის ქორეოგრაფიული ანსამბლი „გურჯაანი“ (მეორე პრემიები) ჯაფისა და გორის რაიონების ქორეოგრაფიული კოლექტივები (მესამე პრემიები) — ეი ქართული ხალხური ცეკვის პირველი რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატთა სახელები.

ზედიზედ ორ საღამოს რესპუბლიკის ოცზე მეტი ქორეოგრაფიული კოლექტივი გამოდიოდა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე, სადაც წარმოადგინეს ქართული ცეკვების მთელი მრავალფეროვნება. მათ ცხადყვეს არა მარტო ხელოვნების სიყვარული, არამედ შესრულების საქმიდ მიზიფული ოსტატობაც და თითქოს ახლებურად წარმოაჩინეს ხალხური შემოქმედების სიმდიდრე და უსაზღვრობა. სწორედ ასე შეიფასა ფესტივალის მონაწილეთა გამოსვლები მრავალმა მაყურებელმა, რომლებიც ტაშით აჯილდოებდნენ თვითმოქმედ მსახიობებს. ფესტივალი სახალხო ტალანტების ნამდვილ დღესასწაულად იქცა.

— ასეთი ფესტივალები ქართულ ქორეოგრაფიას უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანენ, გამოავლენენ ახალ ნიჭიერ შემსრულებლებს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან სოფლისას ფესტივალის ეიერის თავმჯდომარემ საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა თენგიზ სოხიშვილმა. ეს არის ჩვენი სახალხო სიმდიდრე, რომელსაც უნდა მოვეფიფრთხილდეთ და ვამრავლოთ. ახლანდელმა ფესტივალმა გამოაელინა ბევრი საინტერესო შემსრულებელი, ეცადეთ ახალი ილეთები. პირადად მე, მაგალითად, პირველად ვნახე ილეთები, რომლებსაც განდგანას ეცადნი ეყენებენ ანსამბლ „ბერრუნას“ მონაწილენი. სასიხარულოა, რომ დათვალიერება ტრადიციული გახდება. იგი ორ წელიწადში ერთხელ მოეწყობა ბათუმში. ეს ხელს შეუწყობს ქორეოგრაფიული ხელოვნების შემდგომ სრულყოფას, განვითარებას, მხატვრული დონისა და საშემსრულებლო ოსტატობის ამაღლებას, ძველი ეროვნული ცეკვების აღორძინებას.

რანი ვარო, რამდენნი ვართ?

XXI საუკუნის ზღურბლზე

ქვიროსანი თბილისელები და დედაქალაქის სტუმრები, 1989 წლის 12 იანვრიდან 19 იანვრის ჩათვლით საბჭოთა კავშირში ეწყობა მოსახლეობის სრულიადი საკავშირო აღწერა.

აღწერა იწყება 12 იანვრის დილის 8 საათზე ადგილობრივი დროით. აღწერის 8 დღის განმავლობაში ერთ-ერთ დღეს სახლში მოგაკითხავთ და გამოგკითხავთ აღმწერი — აღწერის მუშაკი, რომელსაც ექნება შესაბამისი მოწმობა და სპეციალური ეტიკეტი ემბლემით „მოსახლეობის 1989 წლის საკავშირო აღწერა“.

ყოველი მოქალაქე ვალდებულია გაიაროს აღწერა და ზუსტი პასუხი გასცეს ყველა კითხვას. იმისათვის, რომ აღწერა სრული და ზუსტი იყოს, ეუცილებელია შემდეგი წესებს დაეცეა:

1. სააღწერო ფურცელში ჩაიწერება ყოველი ადამიანი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (იმის მიუხედავად, თუ სად არის ჩაწერილი).

2. მოსახლეობა აღირიცხება 11 იანვრის ღამის 12 საათის მდგომარეობით, ამიტომ აღმწერს უნდა აცნობოთ, ვინ ცხოვრობდა ან ვინ იყო გაჩერებული ამ დროს თქვენს ბინაში, ან ვინ არ იმყოფებოდა შინ და რა მიზეზით (იყო ბიზნესებაში, შვებულებაში, მუშაობდა ღამის ცვლაში).

3. აღმწერს უნდა მიაწოდოთ ცნობები თქვენი დაბადების თარიღის, ქორწინებაში ყოფნის, განათლების, აგრეთვე ბინის ფართობის (საცხოვრებელი და საერთო ფართობი), ოთახების რაოდენობის შესახებ.

თქვენს წერილებს გამოიყენებენ განზოგადოებული, ნაკრები მონაცემების მოსაპოვებლად, რაც ეუცილებელია ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მომავალი გეგმების შესაფასებლად.

წინასწარ გიხდით მადლობას აღწერის ხელშეწყობისათვის.

სახელმწიფო სტატისტიკის თბილისის სამსახურ სამმართველო
საქართველოს სარეკლამო სააგენტო

გეპატიჟებით ყველას!

ყოველ შაბათ-კვირას მუშაობენ კოოპერაციული ბაზრობები შეხვედრა თეატრონის ტერიტორიაზე, მეხუთე კილომეტრზე ქუთაის-სამტრედიაზე ბაზე სოფელ ქვიტირში, ასევე კელასურში (აფხაზეთი) და ძახინჯაურში (აჭარა).

ეეკეკვშირის სისტემის სავაჭრო ორგანიზაციები მომზმარებლებს სთავაზობენ სამაგალო და იმპორტული საქონლის ფართო ასორტიმენტს — ფეხსაცმელს, ჩასოილს, ტანსაცმელს, ტრიკოტაჟს, სასკოლო, სპორტულ, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა ნაწარმს.

ყეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს ბაზრობებზე.

ეეკეკვშირის გამგეობა „სოკოოპერკლუბი“

რუბრიკა „ინფორმაციებიდან“ ეეკეკვშირის ინფორმაციულ-ანალიტიკური ცენტრის ინფორმაციებზე

სპორტის ამბები

კოლუმბის მარშრუტით

ბანგალი კვირადღეს — 4 დეკემბერს ესპანეთის ქალაქ პუერტო დე სანტა მარიაში სტარტი მიეცა „დისკავერის“ სახელით წოდებულ ტრანსატლანტიკურ რბოლას, ამ შეჯიბრებაში მონაწილეობს 8 ქვეყნის 21 ეკიპაჟი. რბოლის მონაწილეებმა უნდა გადალახონ ატლანტიკის ოკეანე და გამეორონ 496 წლის წინათ ჯრანტეფორე კოლუმბის კარაველების მარშრუტი.

სტარტიდანვე ლიდერობა ხელთ იგდო ზვეიცარიის ეიპტა „მურატმა“, რომლის ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრია ფიზიკოსი ბერნარდ რბოლმაში გამარჯვებული პიერ ფეფმანი. რბოლაში მონაწილეობს ოგრეთვე ინგლისელ ქალთა ეკიპაჟი (ეიპტა „ეეიდინ გრეტ ბრიტანი“) ტრეისი ედვარდსის მეთაურობით.

ვარაუდობენ, რომ რბოლის საბოლოო პუნქტს — სანტო დომინგოს (დომინიკის რესპუბლიკა) ეიპტაშენები მიაღწევენ 20-25 დეკემბერს. მარშრუტის მანძილი 4500 მილი.

ლელიეფს გარეშე დაუფასდა

ახლახან მინსკში დამთავრდა სპორტული პრესის მუშაკთა საკავშირო სემინარი, რომელს დეგინი იყო „სპორტულ ჟურნალისტა მეშვაობის ფედერაციის ლაბორატორია — პრობლემები და ძიებანი“.

სემინარზე შეჯამდა წლეულს გაწეული მეშვაობის შედ